

# გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №12(74) 2014 წ. 16-30 ივნისი ფასი 50 თეთრი

## არჩევნები... არჩევნები... (წინასწარი მონაცემები)

**ჩაიარა** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებმაც. თითქმის განელდა ის ემოციები, რომლებიც თავისდაუნებურად თან სდევს ასეთი სახის არჩევნებს.

რაიონში ამომრჩეველთა რაოდენობა ამ არჩევნებში 45 533 იყო. მათგან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 18925-მა კაცმა. არჩევნები 49 საარჩევნო უბანში მიმდინარეობდა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნებში მონაწილე 18925 ამომრჩევლის ბიულეტენიდან სხვადასხვა მიზეზების გამო ბათილად იქნა ცნობილი 1653 ხმა.

მუნიციპალიტეტის გამგებლობის არჩევნებში მონაწილე 18929 ამომრჩევლიდან გაბათილდა 1695 ხმა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნებში 10 პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა. მათგან წინასწარი მონაცემებით:

**არასაპარლამენტო ოპოზიციამ** (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე) მიიღო ხმების **3.2%,** ამომრჩეველთა 552 ხმა;

**საქართველოს ქალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკურმა მოძრაობამ – 0.9%,** ამომრჩეველთა 148 ხმა.

**ნინო ბურჯანაძე-ერთიანმა ოპოზიციამ – 6.8%,** 1177 ხმა;

**ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 21%,** 3633 ხმა;

**დავით თარხან-მოურავი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი – 6,4%,** 1099 ხმა;

**თვითმმართველობა ხალხს – 1,8%,** 308 ხმა;

**სალომე ზურაბიშვილი-საქართველოს გზა – 0.9%,** 148 ხმა;

**შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია – 4%,** 691 ხმა;

**სახალხო პარტია – 0.9%,** 148 ხმა;

**ქართული ოცნება – 54.8%** – 9459 ხმა.

**რაც შეეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლობის არჩევნების შედეგებს (წინასწარი მონაცემებით), მდგომარეობა შემდეგნაირია:**

**ივანე დემეტრაშვილი** – არასაპარლამენტო ოპოზიცია – 4.4% – 752 ხმა;

**დავით მაისაშვილი** – საქართველოს ქალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა – 0.9%, 159 ხმა.

**თენგიზ სონიშვილი** – ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია – 0.9%, 159 ხმა;

**გარსევან ბუხნიკაშვილი** – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 21,4%, 3687 ხმა;

**სოსლან გარსევანიშვილი** – დავით-თარხან მოურავი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი – 5.3%, 915 ხმა;

**ალექსი არაბული** – სახალხო პარტია – 3.7%, 632 ხმა;

**გიორგი გზირიშვილი** – ქართული ოცნება – 57.2% – 9861 ხმა.

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

**17 ივნისი, 2014 წელი**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***ამავე მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ლოლაძე*** უძღვებოდა. თათბირს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების უფროსები, თანამშრომლები და ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები ესწრებოდნენ. მუნიციპალიტეტის გამგებელმა დაწვრილებით გამოიკითხა თითოეულ ტერიტორიულ ორგანოში შექმნილი მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ სასმელი წყლის დებეტის ნაკლებობა მთელ რიგ პრობლემებს იწვევს მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში.



**24 ივნისი, 2014 წელი**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირს ***მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ბესიკ მარტიაშვილი*** უძღვებოდა, თათბირის დასაწყისში მან გამოიკითხა „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით გათვალისწინებული პროექტების დაწყების მდგომარეობა ტერიტორიულ ორგანოებში, – ასევე დაინტერესდა ტერიტორიულ ორგანოებში ვერხვიანსა და ბოგდანოვკაში კომპანია „სოკარ ჯორჯიას" მიერ შესრულებული სამუშაოების მიმდინარეობითა და ხარისხით.



როგორც თოხლიაურის, წყაროსთავის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებმა აღნიშნეს, შესამჩნევად იკლო სასმელი წყლის დებეტმა, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს. თუმცა, აღინიშნა, რომ მხოლოდ აღნიშნული ტერიტორიული ორგანოების მოსახლეობისთვის არ არის სასმელი წყლის დეფიციტი დღის წესრიგის ნომერ პირველი პრობლემა მიმდინარე წელს.

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

**17 ივნისი, 2014 წელი**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელი უძღვებოდა. სხდომამ დღის წესრიგის მიხედვით მოისმინა შემდეგი საკითხები:

1. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ".
2. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2014 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
3. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 27 მარტის №37 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე".

საკრებულოს დეპუტატებმა ასევე, იმსჯელეს სხვადასხვა საკითხებზე და მიიღეს შესაბამისი დადგენილება.



## პედაგოგთა ინტერესებისათვის

**2014** წლის 18 ივნისს ჩატარდა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ არა მხოლოდ საბჭოს წევრები, არამედ რაიონში არსებული სკოლების, საბავშვო ბაღების და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სხვა წარმომადგენლებიც. სხდომას ესწრებოდა აგრეთვე სპმთპ-ს პრეზიდენტი მაია კობახიძე და ამავე ორგანიზაციის ცენტრალური ოფისის კანცელარიის უფროსი ქეთი ვადაჭკორია.

სხდომაზე საკითხები წარმოადგინა ***სპმთპ საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ რომან ზუკაკიშვილმა.*** დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ ქ-ნმა მაია კობახიძემ გააკეთა საინფორმაციო მოხსენება განათლების სისტემაში არსებული ზოგადი ვითარებისა და კონკრეტულად პროფკავშირების როლის შესახებ პედაგოგთა და საერთოდ, განათლების მუშაკთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. დასასრულს მაია კობახიძემ უპასუხა პედაგოგების მიერ დასმულ შეკითხვებს.

*ნელი ბროლაშვილი,*
***სპმთპ საგარეჯოს რაიონული საბჭოს მდივანი***

# ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის წინასწარი მონაცემები

## გომბორი

***ნანული ჭინჭარაული*** — №5 ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 3.3%, 15 ხმა.

**დავითი არაბული** — №41. ქართული ოცნება 59.6%, 269 ხმა.

***გოჩა ლაშქარაშვილი*** — № 42 დამოუკიდებელი 36.8%, 166 ხმა.

## კოჭბანი

***გიორგი ქვლივიძე*** — № 5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 7.1% 13 ხმა.

***თამაზი აბგაიძე*** — №8. დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი 15.2% 28 ხმა.

**გოჩა მისრიაშვილი** — №41. ქართული ოცნება 40.2% 74 ხმა.

***ზვიად წიკლაური*** — №42 დამოუკიდებელი 37% 68 ხმა.

## უჯარმა

***თეიმურაზი ქისტაური*** — №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია 1.3% 4 ხმა.

***ვაჟა ჯავახიშვილი*** — 5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 9.8.% 31 ხმა.

***ანზორ ილურიძე*** — №41. ქართული ოცნება 19.2%% 61 ხმა.

**კონსტანტინე ღოღელიანი** — №42 დამოუკიდებელი 61.2% 194 ხმა.

## ხაშმი

***ნანა მარმარაშვილი*** — №2. საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა 1.2% 6 ხმა.

**ვანო ქარუმიძე** — №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია 38.2% 195ხმა.

***მანანა ქურდოვანიძე*** — №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 9.6% 49 ხმა.

***ავთანდილ მამუჩიშვილი*** — №41. ქართული ოცნება 18.2% 93 ხმა.

***ილია მაჭავარიანი*** — №42 დამოუკიდებელი 14.9% 76 ხმა.

***ნიკოლოზი თევდორაშვილი*** — №43 დამოუკიდებელი 18.0% 92 ხმა.

## პატარძეული

***ზაზა ცხვარიაშვილი№*** — 1. არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე) 7.9% 98 ხმა.

***დავითი მარხვაშვილი*** — №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია 1.1% 14 ხმა.

***ლაშა ცხვარიაშვილი*** — №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 20.8% 257 ხმა.

***თეიმურაზ ნარიმანიშვილი*** — №8. დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი 17.1%, 212 ხმა.

***ნატალია ბოჭორიძე*** — №18. სალომე ზურაბიშვილი საქართველოს გზა 3.8% 47 ხმა.

**გიორგი ჭინჭარაძე** — 41. ქართული ოცნება 30.6% 379 ხმა.

***კობა ლაფერიშვილი*** — № 42 დამოუკიდებელი 18.4% 227 ხმა.

## ნინოწმინდა-წყაროსთავი

***ნატო გრძელაშვილი*** — №2. საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა 0.8% 8 ხმა.

***გიორგი შოშიაშვილი*** — №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია 4.7% 49 ხმა.

***კობა კერატიშვილი*** — №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 12.7% 132 ხმა.

***ნანა რევაზიშვილი*** — №20. შალვა ნათელაშვილი საქართველოს ლეიბორისტული პარტია 1.1% 11 ხმა.

***თეიმურაზ ბექიტაშვილი*** — №26. სახალხო პარტია 3.5% 36 ხმა.

**ელდარ მეფარიძე** — 41. ქართული ოცნება 39.3% 408 ხმა.

***შიო შიოშვილი*** — №42 დამოუკიდებელი 18.4% 191 ხმა.

***ივანე გძელაშვილი*** — №43 დამოუკიდებელი 16.2% 168 ხმა.

***გიორგი მღებრიშვილი*** — №44 დამოუკიდებელი 2.2% 23 ხმა.

## საგარეჯო

***კახაბერი ლაფერიშვილი*** — №1. არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე) 10.8% 465 ხმა.

***დავით ქურხული*** — №2. საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა 0.7% 29 ხმა.

***ვალიკო ოთარაშვილი*** — №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია 2.7% 115 ხმა.

***ზურაბ ქურთიშვილი*** — №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 20.7% 895 ხმა.

***ჭაბუკა ჭანტურია*** — №8. დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი 8.7% 374 ხმა.

***გიორგი ქვლივიძე*** — 9. თვითმმართველობა ხალხს! 10.3% 443 ხმა.

***გელა ყორღანაშვილი*** — №18. სალომე ზურაბიშვილი საქართველოს გზა 4.6% 197 ხმა.

***ნინო მეტრეველი*** — №20. შალვა ნათელაშვილი საქართველოს ლეიბორისტული პარტია 1.4% 61 ხმა.

***თამაზი არიშვილი*** — №26. სახალხო პარტია 0.6% 24 ხმა.

**ფრიდონ ბურდული** — №41. ქართული ოცნება 30.9% 1333ხმა.

***მიხეილ დარბაისელი*** — №42 დამოუკიდებელი 4.8% 206 ხმა.

***ვახტანგი ქურდოვანიძე*** — № 43 დამოუკიდებელი 1.0% 43 ხმა.

***დავითი ლაფაჩიშვილი*** — №46 დამოუკიდებელი 2.9% 125 ხმა.

## გიორგიწმინდა

***გელა დიდმელაშვილი*** — №1. არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე) 1.4% 17 ხმა.

***იოსები ერბოწონაშვილი*** — №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია 4.6% 56 ხმა.

დასასრული მე-4 გვერდზე

# 2014 წლის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნების წინასწარი მონაცემები

| უბნის ნომერი | უბნის დასახელება | ერთიანი სია | სპეციალური სია | არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა | არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე) | საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა | ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა | დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი | თვითმმართველობა ხალხს | სალომე ზურაბიშვილი საქართველოს გზა | შალვა ნათელაშვილი საქართველოს ლეიბორისტული პარტია | სახალხო პარტია | ქართული ოცნება | ბათილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გალმაუბანი | 709 | 8 | 343 | 43 | 1 | 16 | 77 | 16 | 11 | 7 | 11 | 2 | 143 | 16 |
| 2 | ბაზრის უბ. | 1217 | 4 | 607 | 35 | 8 | 42 | 107 | 42 | 14 | 8 | 20 | 5 | 294 | 32 |
| 3 | ზემო უბ. | 1150 | 7 | 603 | 5 | 1 | 45 | 163 | 33 | 22 | 4 | 23 | 6 | 269 | 32 |
| 4 | ცენტრის უბ. | 813 | 10 | 373 | 38 | 9 | 28 | 46 | 48 | 9 | 14 | 14 | 13 | 135 | 19 |
| 5 | ქვემო უბ. | 685 | 5 | 278 | 14 | 0 | 14 | 49 | 21 | 5 | 5 | 9 | 2 | 145 | 14 |
| 6 | მეურნეობის უბ. | 1297 | 7 | 541 | 19 | 6 | 47 | 112 | 46 | 5 | 7 | 28 | 0 | 248 | 22 |
| 7 | სადგურის უბ. | 958 | 10 | 346 | 8 | 4 | 26 | 95 | 25 | 8 | 4 | 15 | 2 | 145 | 14 |
| 8 | გარეჯის მეურნეუბის უბ. | 1164 | 6 | 516 | 48 | 14 | 37 | 126 | 37 | 9 | 16 | 16 | 5 | 170 | 38 |
| 9 | სპორტდარბაზის უბ. | 1027 | 10 | 456 | 19 | 4 | 28 | 111 | 36 | 4 | 4 | 25 | 4 | 197 | 21 |
| 10 | რკ. სადგურის უბ. | 1009 | 2 | 446 | 10 | 2 | 26 | 191 | 16 | 7 | 2 | 13 | 0 | 161 | 18 |
| 11 | გომბორი | 824 | 0 | 469 | 13 | 3 | 23 | 60 | 26 | 1 | 5 | 23 | 10 | 270 | 34 |
| 12 | კოჭბაანი | 280 | 1 | 190 | 0 | 1 | 13 | 40 | 21 | 1 | 1 | 8 | 4 | 90 | 11 |
| 13 | უჯარმა | 360 | 92 | 325 | 1 | 6 | 17 | 42 | 23 | 5 | 1 | 24 | 6 | 168 | 32 |
| 14 | ხაშმი | 1290 | 0 | 533 | 6 | 6 | 98 | 97 | 57 | 1 | 2 | 21 | 8 | 178 | 59 |
| 15 | პატარძეულის კულტსახლის უბ. | 945 | 6 | 497 | 47 | 0 | 21 | 100 | 114 | 3 | 4 | 8 | 0 | 180 | 20 |
| 16 | პატარძეულის სკოლის უბ. | 1381 | 3 | 780 | 24 | 3 | 34 | 140 | 77 | 7 | 19 | 38 | 6 | 392 | 38 |
| 17 | წყაროსთავი | 564 | 5 | 271 | 7 | 0 | 22 | 68 | 17 | 4 | 1 | 14 | 10 | 103 | 16 |
| 18 | ნინოწმინდის სკოლის უბანი | 802 | 7 | 388 | 16 | 2 | 38 | 76 | 16 | 6 | 2 | 28 | 4 | 177 | 23 |
| 19 | ნინოწმინდა საბავშვო ბაღის უბანი | 893 | 5 | 430 | 13 | 1 | 30 | 74 | 12 | 25 | 4 | 27 | 4 | 214 | 26 |
| 20 | გიორგიწმინდა სპორტდარბაზის უბ. | 1178 | 3 | 756 | 15 | 2 | 36 | 171 | 70 | 5 | 4 | 28 | 3 | 400 | 21 |
| 21 | გიორგიწმინდა საბავშვო ბაღის უბანი | 820 | 7 | 449 | 5 | 2 | 11 | 107 | 30 | 2 | 9 | 24 | 0 | 236 | 25 |
| 22 | ქვემო სამგორის უბანი | 88 | 12 | 46 | 0 | 0 | 1 | 18 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 22 | 4 |
| 23 | სათაფლე | 90 | 3 | 78 | 1 | 1 | 2 | 25 | 4 | 0 | 1 | 1 | 0 | 41 | 0 |
| 24 | თოხლიაური | 862 | 1 | 501 | 36 | 0 | 68 | 62 | 54 | 8 | 0 | 10 | 2 | 237 | 24 |
| 25 | მანავის ზემო უბანი | 812 | 3 | 325 | 24 | 2 | 27 | 70 | 5 | 2 | 1 | 17 | 4 | 159 | 14 |
| 26 | მანავის გორხანის უბანი | 1099 | 7 | 447 | 7 | 20 | 32 | 56 | 19 | 1 | 0 | 25 | 6 | 229 | 52 |
| 27 | მანავის ბურდიანის უბანი | 529 | 3 | 175 | 12 | 8 | 11 | 44 | 5 | 1 | 0 | 8 | 0 | 70 | 16 |
| 28 | დიდი ჩაილური | 771 | 2 | 478 | 2 | 1 | 29 | 77 | 7 | 1 | 3 | 7 | 1 | 338 | 12 |
| 29 | პატარა ჩაილური | 760 | 1 | 481 | 5 | 3 | 116 | 139 | 5 | 2 | 2 | 15 | 0 | 176 | 18 |
| 30 | კაკაბეთის განახლების უბანი | 1293 | 3 | 551 | 6 | 0 | 26 | 105 | 19 | 6 | 3 | 55 | 5 | 299 | 27 |
| 31 | კაკაბეთის საკრებულოს უბ. | 1309 | 5 | 469 | 4 | 1 | 22 | 40 | 32 | 2 | 2 | 33 | 5 | 304 | 22 |
| 32 | ვერხვიანი | 328 | 3 | 192 | 0 | 1 | 14 | 32 | 7 | 0 | 0 | 4 | 1 | 130 | 3 |
| 33 | ყანდაურა | 954 | 2 | 519 | 4 | 0 | 38 | 38 | 21 | 2 | 3 | 22 | 4 | 370 | 17 |
| 34 | ბადიაური | 1237 | 2 | 604 | 4 | 2 | 24 | 111 | 79 | 13 | 2 | 42 | 6 | 284 | 33 |
| 35 | მზისგული | 506 | 1 | 387 | 7 | 3 | 23 | 90 | 11 | 6 | 0 | 8 | 4 | 220 | 15 |
| 36 | შიბლიანი | 412 | 1 | 275 | 25 | 0 | 18 | 42 | 26 | 1 | 0 | 11 | 3 | 133 | 14 |
| 37 | უდაბნო | 554 | 22 | 336 | 4 | 9 | 30 | 29 | 8 | 5 | 0 | 11 | 2 | 227 | 11 |
| 38 | დუზაგრამის სკოლის უბანი | 1170 | 10 | 348 | 3 | 2 | 13 | 12 | 0 | 30 | 0 | 0 | 0 | 238 | 50 |
| 39 | დუზაგრამის საკრებულოს უბ. | 1096 | 4 | 347 | 1 | 0 | 14 | 14 | 1 | 55 | 0 | 0 | 1 | 193 | 68 |
| 40 | ქეშალოს სკოლი უბანი | 849 | 8 | 251 | 2 | 4 | 0 | 45 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 | 140 | 54 |
| 41 | ქეშალოს ამბულატორიის უბ. | 943 | 6 | 296 | 1 | 2 | 4 | 84 | 3 | 0 | 0 | 2 | 1 | 136 | 63 |
| 42 | მუღალნო სკოლის უბანი | 1409 | 5 | 367 | 3 | 1 | 0 | 20 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 285 | 56 |
| 43 | მუღალნო ამბულატორიის უბ. | 1128 | 11 | 228 | 4 | 2 | 5 | 78 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 94 | 43 |
| 44 | ზემო ლამბალოს | 1587 | 7 | 331 | 5 | 3 | 4 | 74 | 3 | 5 | 3 | 2 | 1 | 106 | 125 |
| 45 | ზემო ლამბალო | 1612 | 6 | 288 | 1 | 3 | 0 | 135 | 3 | 4 | 0 | 0 | 0 | 72 | 65 |
| 46 | ქვემო ლამბალო | 1470 | 9 | 237 | 0 | 4 | 2 | 35 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 54 | 140 |
| 47 | თულარი | 1318 | 6 | 298 | 2 | 0 | 0 | 45 | 0 | 7 | 2 | 0 | 3 | 212 | 27 |
| 48 | თულარი | 1308 | 6 | 352 | 2 | 1 | 1 | 39 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 219 | 87 |
| 49 | კაზლარი | 673 | 2 | 122 | 1 | 0 | 1 | 22 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 86 | 9 |
| | **სულ** | **45533** | **349** | **18926** | **552** | **148** | **1177** | **3633** | **1099** | **308** | **148** | **691** | **149** | **9389** | **1600** |
| | | | | | **3,19%** | **0,9%** | **6,8%** | **21,0%** | **6,3%** | **1,8%** | **0,9%** | **3,99%** | **0,9%** | **54,2%** | |

ქარეჯის მაცნე



## ჩვენს მუნიციპალიტეტში

# ტერიტორიული ორგანო

# კრასნოგორსკი (სათაფლე)

მიწის ფართობი სულ – 24514 ჰა
აქედან:
კერძო – 994ჰა
მუნიციპალური – 288ჰა
სახელმწიფო – 23232ჰა
სასოფლო-სამეურნეო მიწები – სულ 2077ჰა
აქედან:
კერძო – 994 ჰა
მუნიციპალური –288ჰა
სახელმწიფო – 795ჰა
სახნავი სულ – 1064ჰა
აქედან:
კერძო – 890ჰა
მუნიციპალური – 0
სახელმწიფო – 174ჰა
სათიბი სულ – 51ჰა
აქედან:
კერძო – 0
მუნიციპალური – 0
სახელმწიფო – 51ჰა
საძოვარი სულ – 857 ჰა
აქედან:
კერძო – 256ჰა
მუნიციპალური – 288ჰა
სახელმწიფო – 313ჰა
მრავალწლიანი ნარგავები სულ – 106ჰა
აქედან:
კერძო – 106ჰა.
კომლი – 44
მოსახლეობა – 140 კაცი
სოფელთან კავშირგაწყვეტილი – 15 კომლი.



ბიზი ლალიაშვილი

***კრასნოგორსკის რწმუნებულია* ბიზი ლალიაშვილი**

დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში. პატარძეულის სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის ფილიალში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიწათმომწყობის თანამდებობაზე. მალე სწავლა კვლავ გააგრძელა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო კვლევითი ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე. 1971 წლიდან კი სამსახური დაიწო საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკაში ზოოტექნიკოსის თანამდებობაზე. 1971 წლიდან ამავე ფაბრიკის №1 ბრიგადის ბრიგადირია. ფაბრიკის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაქმნასთან დაკავშირებით სამსახურიდან გათავისუფლდა და 1997 წელს მუშაობა დაიწყო საგარეჯოს პოლიმერების ქარხნის დირექტორად. 2007 წლიდან კი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კრასნოგორსკის რწმუნებულია.

***კრასნოგორსკის კოლმეურნეობის*** ყოფილი თავმჯდომარე **ნადეჟდა რემიზოვა** სოფლის შორეულ და ახლო წარსულზე გვიყვება:

– საქართველოში XIX საუკუნის 20-30-იან წლებში სარატოვის გუბერნიის ბალამოვსკის ოლქიდან გადმოასახლეს ჩვენი წინაპრები. გადასახლების ადგილზე თვეობით ფეხით თბილისისკენ მოდიოდნენ და თან მხოლოდ აუცილებელი ნივთები მოჰქონდათ. საბუთების სათანადოდ გასინჯვის შემდეგ დანიშნულების ადგილზე ანაწილებდნენ და მიჰყავდათ. ჩემს წინაპრებს წილად მალხაზ ანდრონიკაშვილის მამულში ჩასახლება ხვდათ. რომ იცოდეთ, ოქტომბრის რევოლუციამდე კრასნაგორსკის მალხაზოვკა ეწოდებოდა თავად მალხაზ ანდრონიკაშვილის საპატივსაცემოდ. რევოლუციამდე აქ სამკლასიანი სკოლაც ყოფილა, რომელშიც მშობლიურ ენასთან ერთად არითმეტიკა და რელიგია ისწავლებოდა.



ნადეჟდა რემიზოვა

1921 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საქართველოში საბჭოთა წყობილება დამყარდა. სამკლასიანი სკოლა, ოთხკლასიან ოთხწლედად გადაკეთდა. მაშინ ის სკოლა კერძო სახლში იყო განთავსებული – 1930 წლ;ამდე. შემდეგ კი, 1935 წელს აქ სასკოლოდ სპეციალურად აშენდა შენობა და სკოლა შვიდწლედად გადაკეთდა.

საბჭოთა ხელისუფლების დროს კრასნოგორსკში ორი კოლმეურნეობა იყო, დიმიტროვის სახელობის და 26 კომისრის სახელობის. შემდეგ ეს ორი კოლმეურნეობა 1930 წელს გაერთიანდა და ჩარკვიანის სახელი მიენიჭა.

გასული საუკუნის 60-70-იანი წლებიდან აქ უკვე საბავშვო ბაღი, სამეანო პუნქტი, მაღაზიები იყო, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს აქ აშენდა კულტურის სახლი 400 ადგილზე გათვლილი და უკვე შემოჰქონდათ კიდეც ავეჯი, დღეში ორჯერ ავტობუსი დადიოდა თბილისი-კრასნოგორსკის მარშრუტით. აქ იყო მსხვილი მესაქონლეობის კოლმეურნეობა. ბოლოს 1200 მსხვილფეხა საქონელი გვყავდა. ჩვენ აქ ვცხოვრობდით ქართველებთან ერთად, მეგობრულად, მეზობლურად, დიდი სიყვარულით და ერთად ვქმნიდით სახალხო დოვლათს. აქ მისდევდნენ მესაქონლეობას, მეფრინველეობას (ტბა ახლოს იყო და უამრავი იხვი და ბატი გვყავდა აქაურებს), თითქმის ყველა ოჯახს ჰყავდა ფუტკარი, ვაწარმოებდით თაფლს, რომელიც ბევრად განსხვავდება სხვა ადგილებში დამზადებული თაფლის თვისებებისგან. ჩვენი სოფელი, კოლმეურნეობის წევრები აქტიურად ვმონაწილეობდით რაიონში მიმდინარე ეკონომიურ, სოციალურ, კულტ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. მართლაც სულით და გულით ვერთვებოდით საერთო-სახალხო დღესასწაულ „გარეჯობაში“, ჩვენ ლავრასთან ახლოს პატარა რუსული ხატა გვქონდა,სადაც „გარეჯობაზე“ არაერთხელ ვუმასპინძლეთ ქვეყნის პირველ პირებს და მათ სტუმრებს, ჩვენი დაყენებული ჩაითა და გამომცხვარი ბლინებით, სიმღერებით, ცეკვებით. ვმონაწილეობდით სახალხო ზეიმ „თბილისობაში“. ახლაც მეტირება, როცა ტელევიზიით ან რადიოთი ვისმენ ნანი ბრეგვაძის მიერ შესრულებულ „თბილისოს“.



ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა

დღეს რა მდგომარეობაა ჩვენთან? – განადგურდა, გაცამტვერდა 1200 რქოსანი პირუტყვი, მათი სადგომები, ვინ გაყიდა ან საქონელი, ან ნაგებობები, არავინ იცის. გაიყიდა ყველაფერი ის, რაც სახელმწიფოსი იყო, რასაც ხალხი უვლიდა, უფრთხილდებოდა და თავის სამსახურში ჰქონდა. აღარ არის საბავშვო ბაღი, დაიქცა, დაინგრა. როცა ჩვენი სკოლის შენობას ანგრევდნენ, მე გარეთ სამი დღე არ გამოვსულვარ, ვიჯექი სახლში და ვტიროდი...



ბოქლომდადებული მაღაზია

არ გვაქვს მაღაზია. ვიღაცამ თავის საკუთრებისათვის შეიძინა და ბოქლომი დაადო. ერთ ხანს სოფლის გამგეობის შენობაში ერთი პატარა ოთახი გამოეყო მაღაზიას, მაგრამ სულ ნისიები იყო და დაიხურა. აღარ გვაქვს საბავშვო ბაღი და 11 სკოლამდელი ასაკის ბავშვი სახლშია გამოკეტილი. ჩვენი სოფლის 12 მოსწავლე სართიჭალის საჯარო სკოლაში დადის. ოჯახები იძულებული გახდნენ სწავლის გამო სხვადასხვა სოფლებსა და თბილისში წასულიყვნენ.

მე უკვე 79 წლის ვარ. ჩემი ერთი შვილი რუსეთში სწავლობდა და იქვე დარჩა სამუშაოდ, რადგან კომუნისტების დროს მოთხოვნა ვერ გაკეთდა – ჩვენს სოფელში თითქოს სოფლის მეურნეობის მუშაკის ადგილი ვერ გამოინახა. ახლა იქ ცხოვრობს ცოლ-შვილით. ჩემთან ჩემი ქალიშვილი და მისი მეუღლე არიან. შვილიშვილმაც დაამთავრა უმაღლესი, მაგრამ სახლშია. ახლა მხოლოდ ტკბილი მოგონებებით ვცხოვრობ. ჩვენ ხომ ყველა ერთად ვიყავით, მთელი რაიონის მოსახლეობა. გვაერთიანებდა ერთი დიდი საქმე – სახალხო დოვლათის, ქონების შექმნა, გვიხაროდა, ერთმანეთთან გვაკავშირებდა დღესასწაულები. შეიცვალა მთავრობა? რაც დატოვა წინა მთავრობამ, რატომ გინდა მისი დანატოვარის ისე განადგურება, დანგრევა, გაცამტვერება, როგორც ეს გასული საუკუნის 90-ინ წლებში მოხდა? ხომ შეიძლებოდა არც ის ავეჯი დატაცებულიყო, რაც ახლად აშენებულ სასოფლო კლუბში შეგვქონდა?! ამ კლუბს ათეული წლები ელოდა ჩვენი ხალხი, მაგრამ... ახლა საერთოდ აღარაფრის იმედი აღარ გვაქვს... რატომ? სულ უბრალოდ – დღევანდელ ყოფაში ჩვენს სოფელში მობილური ტელეფონი არ მუშაობს. ძლივს იჭერს. რა გახდა ერთი საკომუნიკაციო ანძის დამონტაჟება? ინტერნეტზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია?! არ გვაქვს ბუნებრივი აირი, რომელიც დღესაც ჩვენი სოფლის ბოლოში გაჰყავთ. არ გვაქვს გარე განათება. ისეთი დაბალი ძაბვაა, საერთოდ, ვერ ვხედავთ ვერაფერს, ვერ ვუყურებთ სატელევიზიო გადაცემებს. მიზეზი გინდათ? – უხარისხო, როგორც ამბობენ, ვენახში გამოსაყენებელი მავთულებით მოგვეწოდება დენი, ოღონდ, იცოცხლეთ, კი გვაქვს გამრიცხველიანება. გამოგვიყვანეს სასმელი წყალი და ესეც არასწორად არის გაკეთებული – თუ სოფლის დასაწყისში მოდის, სოფლის შუაში და ბოლოში მოსახლეობას უკვე აღარ მიეწოდება. ამბობენ, ყველა სოფლის ბავშვებს აქვთ მინი სპორტული მოედნები სოფლებშიო. ჩვენთან რა არის მოედანი, არ იციან, აქ კი უკვე შუა სოფელშიც შეიძლება რამდენიმე ადგილზე მინი მოედნის გაკეთება – სახლები გაიყიდა, ვინც ვერ გაყიდა, დაშალა და აგურ-აგურ გაყიდა.

სარწყავი წყალი გვქონდა კოლმეურნეობის დროს – იყო აქ აუზები, „ბასეინები“, სადაც ხდებოდა წყლის აქაჩვა და შემდეგ განაწილება, მაგრამ ახლა სადღაა?!

ყურადღება სჭირდება ჩვენს სოფელს, სადაც მიწა ნაყოფიერია, სადაც არც თუ ცოტა ადამიანი და მოზარდი ცხოვრობს. დღეს XXI საუკუნეა და როგორია, იყოს სოფელი აქვე, თბილისთან ახლოს, ასე მიტოვებული და უკეთურთა ხელით და უგუნურთა საქციელით თითქმის 1800-იანი წლებში დაბრუნებული.

ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა ორსართულიანია, რომელშიც მხოლოდ ერთი ოთახია კარ-ფანჯრიანი – რწმუნებულის სამუშაო ოთახი. დანარჩენი ოთახები მიტოვებულია. ამ სამუშაო ოთახში თვეში ერთხელ პატარძეულიდან



სოფლის შესასვლელი

ოჯახის ექიმები მაგული ტორიაშვილი და ნანული ბედოიძე კრანოგორსკელ პაციენტებს იღებენ.

სოფელში მცხოვრები კუზმენკოები, კაზაკოვები, ჟერტკოვები, საიაპინები, რემიზოვები, ხუციშვილები, გელაშვილები, აფციაურები იმედით უყურებენ ახალ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს – მათთან შეხვედრებზე კანდიდატებმა დაპირებები მისცეს – ყურადღებას მიაქცევენ და რეალობად აქცევენ მათი პრობლემების მოგვარებას.

იმედით ცხოვრებას ყველა და აქაურებიც იმედოვნებენ – 21-ე საუკუნეში 44 კომლიან სოფელს, სადაც თურმე მხოლოდ 5 ოჯახი „მოიძებნა“ სოციალურად დაუცველი, სულ მცირე ერთი მაღაზია მაინც ექნება და იქნებ „მაგთისაც“ „გაახსენდეს“ რომ აქაურ აბონენტებს უფრო სჭირდებათ გარესამყაროსთან კავშირი, ვიდრე მილიონიან ქალაქებს და რაიონების ათეულ ათასობით მომხმარებელს.

***2009 წელს სოფლის საუბნო გზის მოხრეშვაზე 3200 ლარი გაიხარჯა;***
***2010 წელს – სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს 5000 ლარი მოხმარდა;***
***2011 წელს მოსახლეობისათვის მიკროავტობუსის შეძენაზე 5005 ლარი გაიხარჯა;***
***2012 წელს სოფელში მისასვლელი გზის მოხრეშვას 5634 ლარი მოხმარდა.***
***2013 წელს აქ გაიყვანეს სასმელი წყალი.***
***2014 წელს კი „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით მიკროავტობუსს ბუნებრივი აირით სარგებლობის რეჟიმზე გადაიყვანენ.***



ეკა და ნადია რემიზოვები

# ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის წინასწარი მონაცემები

### დასასრული

**ეკატერინე ჭიაბერაშვილი** – №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 23.2% 281 ხმა.

**თამაზი გულისაშვილი** – №8. დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი 9.1% 110 ხმა.

**დავითი სოზაშვილი** – №18. სალომე ზურაბიშვილი საქართველოს გზა 2.8% 34 ხმა.

**ივანე ბეჟიაშვილი** – №41. ქართული ოცნება 58.1% 703 ხმა.

## კრასნაგორსკი

**ალექსანდრე ჩაფიძე** – №1. არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე) 0% 0 ხმა.

**ინგა დვალაშვილი** – №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 57.3% 43 ხმა.

**მიხეილ კაზაკოვი** – №41. ქართული ოცნება 42.7% 32 ხმა.

## თოხლიაური

**იოსები იმედაშვილი** – №1. არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე) 10.5% 51 ხმა.

**გიორგი ფარეშიშვილი** – №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია 16.3% 79 ხმა.

**გიორგი ქოქიაური** – №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 10.5% 51 ხმა.

**დავითი ტაპატაძე** – №8. დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი 14.0% 68 ხმა.

**ნონა ბუზარიაშვილი** – № 41. ქართული ოცნება 48.4% 235ხმა.

## მანავი

**ვაჟა ბაზერაშვილი** – №1. არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე) 7.0% 65 ხმა.

**დიმიტრი სტეფანიშვილი** – №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია 3.6% 33 ხმა.

**ზურაბ ფეიქრიშვილი** – №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 16.1% 149 ხმა.

**გივი დუჩიძე** – №41. ქართული ოცნება 21.1% 196 ხმა.

**ნიკო ბიუაშვილი** – №42 დამოუკიდებელი 52.2% 484 ხმა.

## ჩაილური

**არჩილი ყავრიშვილი** – №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია 19.3% 180 ხმა.

**მალხაზ გრძელიშვილი** – №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 28.7% 268 ხმა.

**ნანა აფციაური** – №18. სალომე ზურაბიშვილი საქართველოს გზა 0.5% 5 ხმა.

**გივი გორელიშვილი** – №20. შალვა ნათელაშვილი საქართველოს ლეიბორისტული პარტია 0.4% 4 ხმა.

**ბესიკ მარტიაშვილი** – 41. ქართული ოცნება 51.1% 477 ხმა.

## კაკაბეთი

**ელგუჯა აგულაშვილი** – №1. არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე) 1.4% 16 ხმა.

**ნატო ქურდოვანიძე** – №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია 3.1% 36 ხმა.

**ზურაბი მჭედლიშვილი** – 5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 15.6% 182 ხმა.

**თეიმურაზი მჭედლიშვილი** – №20. შალვა ნათელაშვილი საქართველოს ლეიბორისტული პარტია 4.2% 49 ხმა.

**თამარი სუხიაშვილი** – №41. ქართული ოცნება 41.7% 487 ხმა.

**ალიხანი მჭედლიშვილი** – №42 დამოუკიდებელი 7.5% 88 ხმა.

**ოთარი მჭედლიშვილი** – №43 დამოუკიდებელი 26.2% 306 ხმა.

## ყანდაურა-ბადიაური

**ბესიკი ჩოკოშვილი** – №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია 3.1% 34 ხმა.

**ავთანდილ ჩალათაშვილი** – №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 10.8% 119 ხმა.

**დავითი ხარებაშვილი** – №8. დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი 6.0% 66 ხმა.

**კახა ადუაშვილი** – 41. ქართული ოცნება 52.2% 576 ხმა.

**იოსები ათაბეგაშვილი** – 42 დამოუკიდებელი 23.2% 256 ხმა.

**თამაზი გურგენიშვილი** – № 43 დამოუკიდებელი 4.6% 51 ხმა.

## ბოგდანოვკა

**ბადრი ზირაქაშვილი** – №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია 10.9% 42 ხმა.

**ნოდარი ზირაქაშვილი** – №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 39.4% 152 ხმა.

**სოსო ჩიკაძე** – №41. ქართული ოცნება 49.7% 192 ხმა.

## შიბლიანი

**ლია მოძმანაშვილი** – №1. არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე) 25.1% 68 ხმა.

**ალექსი ჭამიაშვილი** – №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია 4.4% 12 ხმა.

**ლევან ზირაქაშვილი** – №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 11.8% 38 ხმა.

**თამაზ ხუროშვილი** – №41. ქართული ოცნება 35.4% 96 ხმა.

**ზურაბი ხუროშვილი** – № 42 დამოუკიდებელი 11.4% 31 ხმა.

**ლევანი ჭამიაშვილი** – №43 დამოუკიდებელი 11.4% 31 ხმა.

## იორმუღანლო-ქეშალო-მუღანლო

**ორუჯ კულიევი** – №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 20.2% 216 ხმა.

**გულუ ჰაჯიევი** – №41. ქართული ოცნება 54.4% 576 ხმა.

**ვალეხ შირინოვი** – №42 დამოუკიდებელი 25.6% 273 ხმა.

## ლამბალო-ზემო და ქვემო ლამბალო

**ილჰამ კაიბოვი** – №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 32.3% 226 ხმა.

**მირჰეიდარ ალიხანოვი** – №41. ქართული ოცნება 20.6% 144 ხმა.

**კაზანფარ მამედოვი** – №42 დამოუკიდებელი 44.6% 312 ხმა.

# 2014 წ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლობის არჩევნების წინასწარი მონაცემები

| უბნის ნომერი | უბნის დასახელება | ერთიანი სია | სპეციალური სია | არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა | ივანე დემეტრაშვილი | დავითი მაისაშვილი | თენგიზ სონიშვილი | გარსევან ბუხნიკაშვილი | სოსლან გარსევანიშვილი | ლექსო არაბული | გიორგი გზირიშვილი | ბათილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გალმაუბანი | 709 | 8 | 343 | 44 | 1 | 12 | 90 | 6 | 13 | 165 | 12 |
| 2 | ბაზრის უბ. | 1217 | 4 | 607 | 43 | 3 | 69 | 115 | 31 | 12 | 320 | 14 |
| 3 | ზემო უბ. | 1150 | 7 | 603 | 12 | 4 | 42 | 158 | 13 | 21 | 330 | 23 |
| 4 | ცენტრის უბ | 813 | 10 | 373 | 53 | 6 | 14 | 35 | 57 | 32 | 167 | 9 |
| 5 | ქვემო უბ. | 685 | 5 | 278 | 32 | 5 | 6 | 42 | 20 | 6 | 159 | 8 |
| 6 | მეურნეობის უბ. | 1297 | 7 | 541 | 22 | 3 | 34 | 117 | 36 | 7 | 298 | 24 |
| 7 | სადგურის უბ. | 958 | 10 | 346 | 8 | 2 | 23 | 98 | 25 | 12 | 166 | 12 |
| 8 | გარეჯის მეურნეუბის უბ. | 1164 | 6 | 516 | 61 | 14 | 24 | 138 | 21 | 16 | 209 | 32 |
| 9 | სპორტდარბაზის უბანი | 1027 | 10 | 456 | 21 | 4 | 28 | 111 | 30 | 12 | 232 | 17 |
| 10 | რკ. სადგურის უბ. | 1009 | 2 | 446 | 9 | 3 | 24 | 190 | 14 | 5 | 188 | 13 |
| 11 | გომბორი | 824 | 0 | 469 | 19 | 2 | 10 | 58 | 10 | 83 | 251 | 36 |
| 12 | კოჭბაანი | 280 | 1 | 190 | 0 | 3 | 5 | 48 | 12 | 14 | 97 | 11 |
| 13 | უჯარმა | 360 | 92 | 325 | 11 | 6 | 6 | 33 | 19 | 12 | 179 | 32 |
| 14 | ხაშმი | 1290 | 0 | 533 | 19 | 4 | 86 | 96 | 49 | 19 | 206 | 54 |
| 15 | პატარძეულის კ ულტსახლის უბ. | 945 | 6 | 497 | 48 | 1 | 20 | 97 | 98 | 8 | 202 | 23 |
| 16 | პატარძეულის სკოლის უბ. | 1381 | 3 | 780 | 35 | 4 | 28 | 137 | 69 | 33 | 414 | 58 |
| 17 | წყაროსთავი | 564 | 5 | 271 | 9 | 2 | 18 | 68 | 13 | 16 | 126 | 16 |
| 18 | ნინოწმინდის სკოლის უბანი | 802 | 7 | 388 | 29 | 2 | 29 | 75 | 14 | 13 | 195 | 31 |
| 19 | ნინოწმინდა საბავშვო ბაღის უბანი | 893 | 5 | 430 | 21 | 2 | 23 | 90 | 9 | 17 | 239 | 29 |
| 20 | გიორგიწმინდა სპორტდარბაზის უბ. | 1178 | 3 | 756 | 25 | 2 | 43 | 168 | 89 | 14 | 388 | 27 |
| 21 | გიორგიწმინდა საბავშვო ბაღის უბანი | 820 | 7 | 449 | 9 | 0 | 15 | 108 | 36 | 13 | 244 | 26 |
| 22 | ქვემო სამგორის უბანი | 88 | 12 | 46 | 0 | 0 | 2 | 18 | 1 | 0 | 22 | 3 |
| 23 | სათაფლე | 90 | 3 | 78 | 0 | 0 | 3 | 27 | 0 | 1 | 45 | 2 |
| 24 | თოხლიაური | 8621 | 501 | 54 | 1 | 61 | 56 | 54 | 8 | 242 | 22 | |
| 25 | მანავის ზემო უბანი | 812 | 3 | 325 | 31 | 3 | 42 | 66 | 2 | 8 | 162 | 9 |
| 26 | მანავის გორხანის უბანი | 1099 | 7 | 447 | 12 | 23 | 27 | 52 | 13 | 29 | 241 | 0 |
| 27 | მანავის ბურდიანის უბანი | 529 | 3 | 175 | 13 | 4 | 9 | 51 | 3 | 4 | 77 | 14 |
| 28 | დიდი ჩაილური | 771 | 2 | 478 | 2 | 4 | 23 | 87 | 7 | 3 | 345 | 7 |
| 29 | პატარა ჩაილური | 760 | 1 | 481 | 12 | 3 | 109 | 140 | 4 | 11 | 183 | 19 |
| 30 | კაკაბეთის განახლების უბანი | 1293 | 3 | 551 | 9 | 2 | 29 | 112 | 13 | 12 | 345 | 29 |
| 31 | კაკაბეთის საკრებულოს უბანი | 1309 | 5 | 469 | 9 | 3 | 22 | 47 | 22 | 13 | 324 | 29 |
| 32 | ვერხვიანი | 328 | 3 | 192 | 1 | 0 | 15 | 28 | 1 | 6 | 140 | 1 |
| 33 | ყანდაურა | 954 | 2 | 519 | 16 | 1 | 31 | 42 | 13 | 13 | 385 | 18 |
| 34 | ბადიაური | 1237 | 2 | 604 | 11 | 9 | 15 | 110 | 71 | 44 | 305 | 37 |
| 35 | მზისგული | 506 | 1 | 387 | 5 | 0 | 13 | 99 | 4 | 46 | 214 | 6 |
| 36 | შიბლიანი | 412 | 1 | 275 | 22 | 0 | 12 | 37 | 23 | 18 | 145 | 18 |
| 37 | უდაბნო | 554 | 22 | 336 | 4 | 4 | 21 | 28 | 0 | 7 | 261 | 11 |
| 38 | დუზაგრამის სკოლის უბანი | 1170 | 10 | 348 | 1 | 3 | 14 | 13 | 0 | 3 | 239 | 61 |
| 39 | დუზაგრამის საკრებულოს უბანი | 1096 | 4 | 347 | 2 | 0 | 20 | 17 | 0 | 4 | 193 | 108 |
| 40 | ქეშალოს სკოლი უბანი | 849 | 8 | 251 | 2 | 4 | 0 | 47 | 1 | 2 | 146 | 46 |
| 41 | ქეშალოს ამბულატორიის უბ. | 943 | 6 | 296 | 1 | 2 | 2 | 83 | 1 | 2 | 141 | 64 |
| 42 | მუღალნო სკოლის უბანი | 1409 | 5 | 367 | 3 | 1 | 0 | 20 | 1 | 2 | 283 | 57 |
| 43 | მუღალნო ამბოლატორიის უბანი | 1128 | 11 | 228 | 3 | 3 | 2 | 79 | 2 | 1 | 95 | 43 |
| 44 | ზემო ლამბალოს | 1587 | 7 | 331 | 3 | 10 | 5 | 75 | 3 | 1 | 111 | 123 |
| 45 | ზემო ლამბალო | 1612 | 6 | 288 | 2 | 2 | 3 | 140 | 2 | 1 | 69 | 66 |
| 46 | ქვემო ლამბალო | 1470 | 9 | 237 | 0 | 4 | 1 | 38 | 1 | 0 | 54 | 139 |
| 47 | თულარი | 1318 | 6 | 298 | 1 | 0 | 3 | 47 | 2 | 10 | 209 | 26 |
| 48 | თულარი | 1308 | 6 | 352 | 2 | 1 | 1 | 36 | 0 | 5 | 221 | 86 |
| 49 | კაზლარი | 673 | 2 | 122 | 1 | 0 | 1 | 20 | 0 | 0 | 89 | 11 |
| | სულ | 45533 | 349 | 18926 | 752 | 160 | 1045 | 3687 | 915 | 632 | 10061 | 1562 |
| | | | | 4,3% | 0,9% | 6,0% | 21,2% | 5,3% | 3,6% | 57,9% | | |

**სეითპატალი აშიროვი** – №43 დამოუკიდებელი 1.0% 7 ხმა.

## თულარი-კაზლარი

**აიათ ხეირხაბაროვი** – №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 15.2% 108 ხმა.

**ადამ ედიგაროვი** – 41. ქართული ოცნება 37.6% 267 ხმა.

**ფადირხან ხეირხაბაროვი** – №42 დამოუკიდებელი 46.6% 331 ხმა.

## დუზაგრამა

**თოფიქ ხიდიროვი** – №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 2.3% 15 ხმა.

**ხაიალ გასანოვი** – №41. ქართული ოცნება 56.4% 372 ხმა.

**ჰაჯან ალიევი** – №42 დამოუკიდებელი 41..1% 271 ხმა.

## უდაბნო

**ჯაბა გულბანი** – №3. ნინო ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია 7.0% 23 ხმა.

**ბექა გულბანი** – №5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 10.0% 33 ხმა.

**ალეკსი იოსელიანი** – №41. ქართული ოცნება 6 6 . 9 % 220 ხმა.

**მამუკა გვარლიანი** – №42 დამოუკიდებელი 16.1% 53 ხმა.

**მონაცემები მოპოვებულია №11 საგარეჯოს საოლქო საარჩევნო კომისიიდან**

კვლავ კოოპერატივის შესახებ

# „კოოპერატივი არ არის კოლმეურნეობა“



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუნიციპალიტეტის საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლები ნოშრევან ნეკრესელაშვილსა და ლელა ციგროშვილთან კოოპერატივის შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონსულტაციოდ.

**გასული** წლის 12 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“, რომლის თანახმადაც კოოპერატივი არის კოოპერატივის სტატუსით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. არსებული კანონის საფუძველზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეგიდით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომლის მიზანია ქვეყნის მასშტაბით ხელი შეუწყოს ახალი კოოპერატივების ჩამოყალიბების პროცესს და უკვე არსებულის გაძლიერებას. აღნიშნული სააგენტოს საქმიანობა ითვალისწინებს ახლადშექმნილი და უკვე არსებული კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭებას და ერთიან მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებას. მაგრამ სანამ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში კოოპერატივის ჩამოყალიბების მსურველები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოში დარეგისტრირდებოდნენ, ისინი კონსულტაციას გადიან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურში. სწორედ აღნიშნული ***სამსახურის მთავარი სპეციალისტი*** **გივი მათიაშვილი** გვესაუბრება დღეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ამ კუთხით მიმდინარე პროცესებზე.

***– ბატონო გივი, რითი იყო გამოწვეული ჩვენს ქვეყანაში კოოპერატივების ჩამოყალიბება?***

– ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიაში მომხდარმა მოვლენებმა განაპირობა კოოპერატივების ჩამოყალიბების აუცილებლობა. კარგად გვახსოვს, რომ კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის დროს სოფლის მეურნეობა ერთიანი და ცენტრალიზებული დაგეგმვით გამოირჩეოდა, მმართველობაც ცენტრალიზებულად ხდებოდა. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული იყო ქვეყნის მთლიანი აგრარული პოტენციალი და შესაბამისად სასურსათო პროგრამის მოთხოვნები. ეს იყო სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებებისადმი კომპლექსური მიდგომა. ამ დროს სახელმწიფოს კუთვნილი მიწების ფართო მასივების დამუშავება ხდებოდა რაიონების ბაზაზე არსებული მექანიზაციის ცენტრების საშუალებით. ამასთან, ხდებოდა საჭირო მასალებით და შხამქიმიკატებით შეუფერხებელი მომარაგება. და ბოლოს, უზრუნველყოფილი იყო მიღებული პროდუქციის პირველადი და მეორადი გადამუშავება და რეალიზება. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული კაცის, ამ შემთხვევაში გლეხის ფუნქციას მხოლოდ ფიზიკური შრომა წარმოადგენდა.მაგრამ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, მოგეხსენებათ, საბჭოთა რეჟიმის მოშლამ ქვეყნის აგრარულ სექტორში შეუქცევადი რღვევადი პროცესები გამოიწვია. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოიშალა აგრარული ინფრასტრუქტურა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკუთრებაში არსებული მიწები პრივატიზაციის შედეგად გადავიდა სოფლის მოსახლეობის კერძო საკუთრებაში, რის გამოც მასიური სავარგულების



ლელა ციგროშვილი

დიდი ნაწილი დაქუცმაცდა მცირე ნაკვეთებად. ამასთან, მოიშალა მთელი ის ინფრასტრუქტურა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით განაპირობებდა და უზრუნველყოფდა საჭირო აგრო-ტექნიკური ბაზის მდგრადობას. ვეღარ მომარაგდებოდა სექტორი საჭირო სასუქებით, სელექციური სარგავ-სათესლე მასალებით და შხამ-ქიმიკატებით, ვეღარ მოხერხდებოდა აგრარულ სექტორში წარმოებული პროდუქციის ეფექტური რეალიზაცია.

და რა მოხდა? გლეხი მარტო აღმოჩნდა მოზღვავებული შრომისა და პრობლემების წინაშე და იძულებული გახდა ფიქრი დაეწყო მეურნეობის დამოუკიდებლად წარმართვისა და დარგის რენტაბელობისათვის. მაგრამ, ვეღარ ახერხებდა აგროტექნიკური ბაზის შენარჩუნებას, ვერ საზღვრავდა საკუთარი მეურნეობის პოტენციალს, რის შედეგადაც აწარმოებდა პროდუქციას და მიღებული პროდუქციის რეალიზებით მიეღო საკუთარი ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

***– თუმცა, ვთქვათ, რომ 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა ჩაცხრა პოლიტიკური ვნებათაღელვა, კონფლიქტური სიტუაციები, ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის განხორციელდა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვადასხვა ფონდების მიერ დასახული პროგრამები...***

– დიახ, ამ მხრივ სიტუაცია რამდენადმე შემსუბუქებულია. დღეისათვის ქვეყანაში რამდენიმე ათეული წარმატებული აგრარული საწარმო, კოოპერატივი შეიქმნა. მცირემიწიანი ფერმერების მცირე ნაწილმა მოახერხა საკუთარი მეურნეობის გამსხვილება ან ურთიერთგაერთიანება და წარმატებულ საწარმოებად ჩამოყალიბება. მაგრამ ეს დღემდე ძალზე მცირე ნაწილი იყო.

***– მცირე ნაწილი ალბათ იმიტომაც, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ კოოპერატივი იგივე კოლმეურნეობააო...***

– დიახ. გეთანხმებით. ეს აზრი მართლაც მუსირებდა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დღესაც მუსირებს მოსახლეობაში. მაგრამ კოოპერატივი ხომ არსებითად განსხვავდება კოლმეურნეობისაგან? ტერმინი „კოოპერატივი“ ლათინური ენიდან მომდინარეობს და ქართულად ნიშნავს თანამშრომლობას. ეს არის შრომის ორგანიზების ისეთი ფორმა, რომლის დროსაც რამდენიმე ადამიანი მონაწილეობს ერთსა და იმავე, ან სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებულ შრომის პროცესში. რაც შეეხება ფერმერთა კოოპერატივს, ეს არის საერთო ინტერესების და პრობლემების მქონე ფერმერების ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლებიც შეკავშირდნენ იმისათვის, რომ კომერციულ საქმიანობაზე მიაღწიონ უფრო მეტ წარმატებას, ვიდრე ამას ისინი დამოუკიდებლად შეძლებდნენ. ე.ი. კოოპერაცია ეს არის პროცესი, ხოლო კოოპერატივი წარმოადგენს ამ პროცესის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულს.

და რაც მთავარია, კოოპერატივსა და კოლმეურნეობას შორის ძირითადი განსხვავება არის ის, რომ კოოპერატივი არის ფერმერთა ნებაყოფლობითი და არასავალდებულო გაერთიანება. ამასთან, მის ნებისმიერ წევრს, ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას კოოპერატივის წევრობაზე, თუ ის თვლის, რომ კოოპერატივი ხელს უშლის მის ინტერესებს და მას, როგორც ფერმერს დამოუკიდებლად უფრო მეტი წარმატების მიღწევა შეუძლია. კოოპერატივის მთავარი მიზანია წევრების პრობლემების მოგვარება და მოგების მიღებაა.



ნინოწმინდა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სადგომი

***– ბატონო გივი, კოოპერატივების კანონის მიღების შესაბამისად თუ არსებობს სახელმწიფო შეღავათები სასოფლო კოოპერატივების მხარდასაჭერად?***

– რა თქმა უნდა. 2017 წლის 1 იანვრამდე არ იბეგრება – კოოპერატივის მოგება, მიღებული გრანტები და საწევრო შენატანები, კოოპერატივის წევრების მიერ კოოპერატივიდან მიღებული დივიდენდები, კოოპერატივის საკუთრებაში არსებული (გარდა იმ მიწისა, რომელსაც ერიცხება მიწის გადასახადი) და მასზე ლიზინგით გადაცემული ქონება, კოოპერატივის მიერ კოოპერატივის წევრებზე გაწეული მომსახურეობა.

***– ვამბობთ, რომ კოოპერატივის საქმიანობა ბევრად სჯობია ერთი კაცის მიერ მოფიქრებულ გეგმებსა და მის განსახორციელებლად გადადგმულ ნაბიჯებსო. მაინც რა დადებითი მახასიათებლები აქვს კოოპერატივს?***

– გეტყვით. უპირველეს ყოვლისა, კოოპერატივი იცავს აგრარული პროდუქციის ბაზარს, აძლევს ფერმერს მნიშვნელოვან როლს სასურსათო წარმოების ჯაჭვში, ამოსავალ წერტილად იღებს მწარმოებლის, ფერმერის ინტერესებს და მასზე მისადაგებით ახორციელებს კომერციულ საქმიანობას, ხელს უწყობს საოჯახო მეურნეობის გაძლიერებას. მოგება ნაწილდება ყველა მოქმედ პერსონაზე მათი ჩართულობის პროპორციულად, უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოების, გადამუშავების და რეალიზაციის ორგანიზებულ სისტემას.

***– ხომ ვერ გვეტყვით, დღეს ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რამდენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია რეგისტრირებული?***

– 3.

სოფელ ასკილაურში **ნოშრევან ნეკრესელაშვილისა და ლელა ციგროშვილის ოჯახმა** ფერმერული კოოპერატივის შექმნა გადაწყვიტეს. როგორც ქალბატონმა ლელამ



ასკილაური, საძოვარი

გვითხრა: – მოგეხსენებათ, სოფლის მეურნეობა დღეს საქართველოში ერთობ ნელ-ნელა ვითარდება. გლეხს თუ მიწა აქვს,მისი დასამუშავებელი ტექნიკა არ გააჩნია, თუ ტექნიკია აქვს, მას პირიქით მიწა არა აქვს. მთაში მცხოვრებისათვის მიწის სარგებლობაში ქონა კი გზას უხსნის განავითაროს მემინდვრეობა, შესაბამისად, მეცხოველეობა. ჩვენს ოჯახს აქვს საძოვარი – 29 ჰა, სახნავ-სათესი მიწა – 18 ჰა, სხვა რაიონში გვაქვს ასევე 38 ჰა სახნავ-სათესი, სადაც შეიძლება სიმინდის მოყვანა, გვაქვს 23 ჰა ვენახი. გვაქვს ტვირთის გადამზიდი მანქანები, ფერმა. მაგრამ ჩვენ რომ აქ მეცხოველეობის განვითარება დავიწყოთ, სახელმწიფომ ხელი უნდა შეგვიწყოს. ჩვენი ოჯახის წევრები, მეზობლები, სულ 17 კაცი გავერთიანდებით, ერთად დავამუშავებთ მიწას, მოვუვლით პირუტყვს, ერთად მოვიმკით ჩვენი შრომის შედეგს და მოგებასაც ერთობლივი გადაწყვეტილებით გავანაწილებთ. ჩვენთან იმ 17 წევრიდან 6 მანდილოსანია. ამასთან, ჩვენ გვაქვს უფლება ზრდასრული ყველა ასაკის და პროფესიის ადამიანი ჩავრთათ ამ საქმიანობაში. გვაქვს ძალიან დიდი გეგმები. ვფიქრობთ ჯიშთა გაუმჯობესებას. გვინდა გვყავდეს როგორც მეწველი, ისე მეხორცული ჯიშის ძროხები. ფერმა, რომელშიც ჩვენი კოოპერატივის პირუტყვი გვეყოლება 100 სულზე იყო გათვლილი, ფერმას ახლა შეკეთება-შერემონტება-მოწესრიგება სჭირდება. ეს კი დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. თუ სახელმწიფომ კეთილი ნება არ გამოიჩინა და არ დაგვეხმარა კრედიტებით, დაბალპროცენტიანი სახელმწიფო სესხებით, ძალზე გაჭირდება არა მარტო ჩვენი კოოპერატივის, სხვა პროფილის კოოპერატივების ამოქმედებაც. ამასთან, ვფიქრობთ, მომავალი წლიდან 35 ჰა მიწის ფართობი ავიღოთ იჯარით, სადაც სასილოსე მასის მისაღებად დავთესავთ სიმინდს და ასევე იონჯას. ვნახოთ, როგორი ხელშეწყობა გვექნება ჩვენ სახელმწიფოდან.

**სოფელ ნინოწმინდაში** გია ივანიაშვილის ხელმძღვანელობით ყალიბდება კოოპერატივი, რომელშიც ოჯახის წევრები ერთიანდებიან, სულ 5 კაცი. მათ 13 ჰა სახნავ-სათესი მიწის ფართობი, 85 ჰა საძოვარი და ამას დამატებული კიდევ 400 ჰა იჯარით აღებული (თიანეთის რაიონში) საძოვარი აქვთ, სადაც ამჟამად მათი 75 მსხვილფეხა საქონელია გადაყვანილი საზაფხულოდ. ეს არის მეხორცული და მეწველი ჯიშის საქონელი. ამჟამად კოოპერატივს სამი მწყემსი ჰყავს დაქირავებული, თუმცა, როგორც თავად კოოპერატივის თავმჯდომარემ თქვა, ისინი კიდევ 8-10 კაცის დასაქმებას შეძლებენ, თუ სახელმწიფო იმ დახმარებას გაუწევს, რისი საშუალებითაც კოოპერატივი იმ ფერმის შენობების რეაბილიტაციას შეაძლებინებთ, რომლებიც მათ აქვთ და ასევე იმ მეფრინველეობის ფერმის შენობის აშენებაში მიეხმარებათ, რომლის აშენებასაც ისინი სამომავლოდ 2500 ფრთა ფრინველზე ფიქრობენ. სახელმწიფოდან შეღავათიანი სესხის შემთხვევაში კოოპერატივი შეიძენს კვერცხმდებელ ქათამს და ასევე, გადადგამს პირველ ნაბიჯებს თუშური ჯიშის ცხვრის მოსაშენებლად. რაც შეეხება ტექნიკას, კოოპერატივს აქვს სათიბი, ბალახის შემკრები, ხორბლის საფქვავი წისქვილი და სიმინდის მარცვლის საფქვავი.

დღეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში კოოპერატივის შექმნის მსურველთა რიცხვი მართალია იზრდება, მაგრამ რატომღაც გაუბედავად, ზოგს კი იმედი და რწმენა დიდი აქვს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერისა და დახმარებისა.

სულ ახლახან **სოფ. უდაბნოში** ფუნქციონირება დაიწყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა.

ახლა აპირებენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ჩამოყალიბებას **სოფ. კაკაბეთში** მცხოვრები გია ჩხეიძე და გიორგი მჭედლიშვილი.



საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლები გია ივანიაშვილთან ერთად

## საზოგადოებრივი აზრი

# უნდა გვჭირდებოდეს შეხსენება?!

– „**გვახსენდება** სიტყვები ათი მცნებიდან: „პატივი ეც მამასა და დედასა შენსა, რათა კეთილ გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა.“ ეს არის უდიდესი მადლი, უდიდესი წყალობა ღვთისა, როცა შვილი პატივს და თაყვანს სცემს თავის მშობელს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის შვილი ბედნიერი იქნება. ეს არის გზა მშვიდობისაკენ, ეს არის გზა ბედნიერებისაკენ. ჩვენ ძალიან ხშირად ვუსურვებთ ერთმანეთს ბედნიერებას. აი, აქედან უნდა დაიწყოს ადამიანმა ბედნიერებისკენ სვლა. არის შემთხვევა, როცა მშობელი აღარ ახსოვს შვილს, შვილებს. დიდ განსაცდელში ვარდება ასეთი შვილი, – თქვა უწმინდესმა და უნეტარესმა, ***სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ქადაგებისას.***

ჩვენმა ყოველდღიურმა საზრუნავმა, ემოციურად დატვირთულმა ცხოვრებამ, ეკონომიურ-სოციალურმა მდგომარეობამ იქნებ მავანს მართლაც დაავიწყა თავისი მოვალეობა მშობლების მიმართ?! კარგად ვიცით, რომ ცხრა მთას იქით გადახვეწილმა ქართველობამ, ოჯახის სარჩენად, ლუკმაპურის ფულის გამოსაგზავნად წასული ქალების უმრავლესობამ ვერც კი მოახერხა მშობლების საბოლოო გზაზე გაცილება. მაგრამ, იკითხავთ – გამართლება თუ აქვს ამას?

„ორ კოცნას გაუმარჯოს ამქვეყნად, ეს ორი კოცნა არ გამოლეულიყოს საქართველოში – პირველს – დედა ახალშობილს რომ ემბორება და ამქვეყნად მოსვლას დაულოცავს, უკანასკნელს – შვილი სამარის კართან რომ გამოემშვიდობება მშობელს – შუბლზე კოცნით – მადლობას რომ ეტყვის გაზრდისთვის, ამქვეყნად მოვლენისათვის და გზას იმქვეყნისკენ დაულოცავსო“, – „განსხვავებულ სადღეგრძელოებში“ ისე გულიანად თქვა ერთმა კახელმა, 300 კაციანი სუფრა უცებ რომ გაირინდა და ერთი ამოსუნთქვით ყველამ „დაუდასტურა“ – ამინო!

არავინ იცის, ქართველს ვინ და როდის ასწავლა მშობლის პატივისცემა. საკარცხლულში პატივით დაბრძანებული „მახვში“ მხოლოდ ოჯახის უფროსი, ოჯახის გამგებელი კი არ იყო, თავიდანვე, ოჯახის პატარებისათვის, მომავალი თაობებისათვის მოწიწებისა და მორჩილების სიმბოლოც იყო. ოჯახის უფროსი, მიუხედავად ასაკისა, და მიუხედავად ფიზიკური შესაძლებლობისა, სწორედ რომ ასაკიანი მამაკაცი იყო და არა დღევანდელი „გალექსილი“, „შარვალ-კოსტუმში“ გამოწყობილი რძლები, ცოლები...

სანამ ოჯახის უფროსი მაგიდის თავში არ დაჯდებოდა, ვის ჰქონდა „უფლება“ მაგიდას მისჯდომოდა, პირველი კერძიც მისთვის უნდა გაესინჯინებინათ, პირველი სიტყვაც მას უნდა ეთქვა. ვინღა დაგიდევს ახლა „უმცროს-უფროსობას?!“ ვიღას ახსენდება ოთხკედელშუა გამომწყვდეული დედა ან მამა, სასოებით რომ გაჰყურებს შვილის მოსასვლელ გზას?! რამდენს ამოუღამდა ასეთ ლოდინში წუთისოფელი, რამდენის ბაგეს შეაცივდა შვილის სახელი?! და მერე?! მერე კი არის სინდისის ქენჯნა, სინანული, მაგრამ... უფალი ყველას და ყველაფერს ხედავსო, გვამშვიდებენ ცხოვრებაგამოვლილები...

დიახ, ყველაფერს ხედავს უფალი, ყოვლისშემძლე. ხედავს საზღვარგარეთიდან შვილებისგან გამოგზავნილი დოლარებით გადახდილ პომპეზურ ქელეხებსა და „ორმოცებს“ – ღრეობამდე მისულ ჭირის სუფრებს, რომელსაც შეიძლება ჩიტის რძეღა აკლდეს, მაგრამ შვილისგან იმქვეყნად გატანებული ერთი ცრემლის ფასი გადაწონის იმ ყველაფერს, ესმის კი ეს მშობლის წინაშე ასე „ვალმოხდილს“?! თუმცა, ეს ჩემი, შენი და ჩვენი განსასჯელი არ არის, ძვირფასო მკითხველო!

ჩვენდა საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არიან ჩვენს შორის ადამიანები, რომლებიც სისხლხორცეულად აღიქვამენ თავიანთ მოვალეობას შვილების, მშობლების, წინაპრებისა და მომავალი თაობის წინაშე. დიახ, ისინი მრავლად არიან, ვისაც მშობელზე ზრუნვა დედაქალაქის წამყვანი კლინიკების თანამშრომლობას, სამინისტროს დიდ და ნათელ კაბინეტებს, საზღვარგარეთ მოპოვებულ სიმდიდრეს ურჩევია... მას თავისი წინა თაობიდან გადმოეცა ის, რაც მხოლოდ ქართველს არ აქვს გენეტიკაში. მაგრამ XXI საუკუნეში მაინც მთელი სიმწვავით დადგა დღის წესრიგში უფროსი თაობისადმი, მშობლებისადმი უპატივცემულობის „სინდრომი“. „ეს ცხოვრებამ მოიტანაო“ – შაბლონადქცეულ ფრაზას გეტყვის მავანი. ცხოვრებამ ბევრი რამ მოიტანა ათასწლეულების განმავლობაში, მაგრამ, ის, რაც მიუღებელი იყო კაცობრიობისათვის, ბოლომდე მიუღებელი დარჩება. თუმცა არც ის არის დასამალი, რომ ბევრი ახლაც თავის „რიგს“ ელოდება, როდის მიიყვანს მშობელს მოხუცთა თავშესაფარში, როდის მოიშორებს თავიდან „ზედმეტ“ საზრუნავს... მაგრამ, თაობიდან თაობას მაინც გადაეცემა ოჯახში უფროსისადმი პატივისცემა და მზრუნველობის აუცილებლობა.

– დედაჩემმა სამი შვილი ისე გაგვზარდა, არ გვახსოვს ბებოსთვის, დედამთილისთვის სიტყვა შეებრუნებინოს. ყველა ადამიანი თავისებური ხდება ასაკში, მოფერებას, მეტ ყურადღებას ითხოვს, – მეუბნება ჩემი რესპოდენტი სონიკო ბაღდადაშვილი, პატარაობიდანვე ჩაგვაგონებდა მეც და ჩემს ორ ძმასაც, რომ პატარებს პატივისცემა მოგვეთხოვებოდა უფროსების მიმართ და როცა გავიზრდებოდით, ეს მოვალეობა უკვე ორმაგდებოდა – პატივისცემასთან ერთად მზრუნველობაც მოგვეთხოვებოდა. ამის მაგალითს თავად დედა გვაძლევდა – თუ უფროსებს პატივს არ ვცემდით, არ ვიზრუნებდით, მაშინ ჩვენ ბედნიერები არ ვიქნებოდით. ბედნიერი კი მაშინ არის ადამიანი, როცა სინდისი არ ქენჯნის, როცა სული დამშვიდებული აქვს, როცა ღვთისგან დაწესებულ მცნებებსა და კანონებს ასრულებს და მათგან ერთ-ერთი ხომ გვავალდებულებს მშობლებზე პატივისცემას?! და მთავარი – თუ მეუღლე გიყვარს და პატივს სცემ, მაშინ მის მშობლებსაც შესაფერისად მიაგებ პატივს.

სიმართლე რომ გითხრათ, აღარც გამკვირვებია, რატომ უვლიდა სონიკო ასე გულმოდგინედ, ასე პატივისცემით რატომ მზრუნველობდა დედამთილზე, რატომ განიცდის მისი ამქვეყნიდან 84 წლის ასაკში გასვლას... და თავადაც როგორ წავიდა ის ოთხმოცს გადაცილებული?! იმ პოეტის ლამაზად ნათქვამის მსგავსად – „მე ვდარდობ, შენ რომ დაგედარდებიო!“

ერთი თანამშრომელი გვყავდა, დედა კომუნისტებს დროიდანვე, 70-იანი წლებიდან ცხოვრობდა საზღვარგარეთ, მამა არ ახსოვდა. დედამთილ-მამათილს ისეთი გულმოდგინებით უვლიდა, ისეთი სიყვარულით, რომ მეზობლებს და ახლობლებს აკვირვებდა. მოხუცებულობისას ორივე სავარძელში იჯდა, საპატიო სტუმრებივით – გაკრიალებულები, პირველი კერძიც მათი იყო და სტუმრისათვის მოდუღებული ყავიდან პირველი ფინჯანი ყავაც. გსიამოვნებდა მასთან სტუმრობა. თავად მოხუცებულებიც დიდი სიყვარულით და პატივისცემით იყვნენ მის მიმართ. ოჯახში შემოსულმა რძალმაც ჯერ დედისგან ნასწავლი და შემდეგ დედამთილისგან ნასწავლ-ნანახი კარგად შეისისხლხორცა და ასეთ რძალ-დედამთილობას მართლაც რომ არაფერი სჯობია. გიადვილდება ცხოვრება, თბილი და ტაქტიანი ურთიერთობა სიყვარულს, სიმშვიდეს წარმოშობს ოჯახში და ღმერთი სწორედ ამ სიყვარულისთვის აჯილდოებს ადამიანებს უფრო და უფრო მეტი ჯილდოთი, რომელიც მადლად ეფინებათ ჩვენს შვილებს, შვილებს, რომელთა გვერდით, ჩვენდა სამწუხაროდ, არიან მათი თანატოლებიც – საკუთარი დედის შეგინებით თავმომწონენი და მოხუცების აბუჩად ამგდებნი...

ისე კი, საინტერესოა, რატომ უნდა გვჭირდებოდეს XXI საუკუნის ადამიანებს შეხსენება „პატივი ეც მამასა და დედას შენსა, რათა კეთილ გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა“, იქნებ ვინმემ გვითხრას?!

---

## ოჯახები

# „ჩვენი ოჯახი წმინდა ქართულია“

„**ქრისტიანული** ოჯახი უფლის სავანეა, უფლის ბაღია, რომელშიც ცოლსაც და ქმარსაც დაედგინათ მუშაკობა ღვთის სადიდებლად“ – ბრძანებს ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ჩვენდა საბედნიეროდ, ასეთი ოჯახები მრავლად გვყავს ჩვენს რაიონში და ღმერთმა ამრავლოთ. ოჯახის დიასახლისი, ხუთი შვილის დედა, პედაგოგი – რუიზან ძეგლიგიშვილი მოვიწვიეთ გაზეთის ამ ნომერში სასაუბროდ. უპირველესად, თავად ქალბატონი რუიზან ძეგლიგიშვილის მიერ განვლილი გზით დავინტერესდით – ქალის, რომელმაც მრავალშვილიან დედობას ღირსეულად შეუთავსა პედაგოგობა და ღირსეული მოქალაქეობა თავისი ქვეყნისა:

დავიბადე სიმწვანეში ჩასმულ, მაღალ მთა-გორიან სოფელ ჯიხოში (თიანეთის რაიონი) 1946 წლის 15 თებერვალს, მრავალშვილიან ოჯახში. მამა – ლექსო ძეგლიგიშვილი მთელ თიანეთში ლეგენდადქცეული კაცი თავისი ჭკუა-გონებით, მკლავის სიმაგრით, პედაგოგი იყო. კარგად იცოდა საქართველოს ისტორია, ვაჟას პოემებს საღამოთი (დედა სინათლეს დიდხანს არ გვატოვებინებდა) ზეპირად მასწავლიდა – ამიტომაც ავირჩიე ფილოლოგობა.

1953 წელს გადმოგვასახლეს სართიჭალაში (ჩვენი სოფელი სიონის ზღვამ დაფარა) და ამავე წელს შევედი სართიჭალის №2 საშუალო სკოლის I კლასში, რომელიც დავამთავრე 1964 წელს. სწავლის პერიოდში ვიყავი დამოუკიდებელი (დედას ჩვენი სწავლისათვის არ ეცალა), ყველა კარგი საქმის ინიციატორი, სოლისტი სიმღერაში, ცეკვაში, სპორტში (მთელი სკოლის ფიზორგი ვიყავი VIII კლასიდან). ვსწავლობდი სანიმუშოდ, XI კლასში კი ჩამოვაყალიბე კომკავშირული ბრიგადა და მთელი 3 თვის განმავლობაში ვმუშაობდი მეღორეობის ფერმაში და, რათქმაუნდა, ჩვენი შრომის ამსახველი სიუჟეტებით გარდაბნის რაიონის გაზეთები „ავაჭრელეთ“.

1964 წელს (პირველ წელს უმაღლესში ვერ ჩავირიცხე) სკოლამ როგორც აქტიურ და სანიმუშო მოსწავლეს (ჩემი სურათი ახლაც გაკრულია სკოლაში) მომცა რეკომენდაცია „თბილისის პიონერ-მუშაკთა რესპუბლიკურ სკოლაში“ წარსადგენად, სადაც ამირჩიეს ტურიზმის ხელმძღვანელად (პედაგოგი გურამ გეგეჭკორი) – 30 გოგო მთელ საქართველოს ვუვლიდით საძილე ტომრებით.



1965 წელს დავინიშნე გამარჯვების საშუალო სკოლაში პიონერხელმძღვანელად, მაგრამ 1966 წლის ოქტომბერში „გლოვით“ გამომაცილეს ხევსურებისა და რაჭველების შვილებმა სართიჭალის I საშუალო სკოლაში. აქაც ჩამკვდარი მუშაობა ავამოქმედე. ვატარებდი სასოფლო ღონისძიებებს (ვმუშაობდი რუსულ-ქართულ სექტორზე), ვიღებდი უამრავ ფასიან საჩუქრებს, მადლობებს, კომკავშირულ საქმიანობას ვამოწმებდი რაიონში (სოფ. შინდისში, გლდანში, წყნეთში...).

1967 წელს ჩავირიცხე თბილისის პუშკინის სახელობის პედინსტიტუტში – ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, ამავე წელს დავოჯახდი.

1972 წელს მუშაობა დავიწყე საგარეჯოს №3 საშუალო სკოლაში. ვასწავლიდი შრომას, ქართულს, ხელოვნებას, მაგრამ ჩემი ოჯახური მდგომარეობის გამო, ბოლოს გადავწყვიტე გადავსულიყავი გახანგრძლივებულ ჯგუფში, რომ ჩემი ზედამხედველობით გამეზარდა ჩემი ხუთი შვილი. კარიერას მათზე ზრუნვა ვარჩიე და ვფიქრობ, მიზანს მივაღწიე, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის ჩემს კეთილშობილ, შვილებზე და ოჯახზე თავდადებულ, უაღრესად მზრუნველ და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მეუღლეს ვალერიან ფირყულაშვილს.

ცოდვა გამხელილი სჯობია, არასოდეს მიფიქრია მრავალი შვილის ყოლაზე, მაგრამ ბიჭის დიდი სურვილის გამო (და ასეთი მზრუნველი მამის გასახარებლად) მეხუთედ ძლივს ვიპოვე საოცნებო „ზვიადი“. ალბათ ყველაფერი უფლის ნებით ხდება ამ ქვეყანაზე და მეც მივენდე მას. სწორედ უფალს უნდა ვუმადლოდე, რომ ასეთი დიდი სიკეთე გამოიმეტა ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის.

მიხარია მათი ყურება, მათი ზრუნვა ჩვენთვის თუ ერთმანეთისათვის. არ უჭირვებენ ერთმანეთს არაფერს მორალურად თუ ეკონომიურად, ერთი თხილის გულს რომ თანაბრად იყოფენ. ხანდახან კამათობენ, აკრიტიკებენ ერთმანეთს, მაგრამ ესეც სასარგებლო და სასიამოვნოა, ასე არიან საზოგადოების სხვა წევრების მიმართ – კეთილები, ყურადღებიანები, ასე ზრდიან თავიანთ შვილებსაც.

რაც შეეხება მათ სწავლა-განათლებას, „გენები საყიდელი არ მქონია“. ჭკვიანები, ნიჭიერები (მათემატიკური საგნებისადმი მიდრეკილებით), შრომისმოყვარენი იყვნენ, ჩვენი მხრიდანაც დიდი ყურადღება და მშვიდი ცხოვრება ჰქონდათ და მიზანსაც მიაღწიეს.

ნინომ და თამილამ ეკონომიური ფაკულტეტები დაამთავრეს (ნინო მუშაობს სპეციალობით, თამილა სახანძრო სამსახურში მუშაობდა, მაგრამ შტატი გაუქმდა და დღეს სამი შვილის დედა დაუსაქმებელია).

შორენა თბილისის 145-ე საჯარო სკოლის დამსახურებული პედაგოგია დაწყებითი განათლების კლასებში.

ნათიამ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი დაამთავრა ქიმია-ბიოლოგიის სპეციალობით. არის უნივერსიტეტის დოქტორანტი ფიზიოლოგიის კათედრაზე.

ზვიადი აგრარული უნივერსიტეტიდან პროგრამით სახელმწიფო ხარჯებით გააგზავნეს გერმანიაში, მოწვევა მოუვიდა ოსნაბრიუკის უნივერსიტეტიდან და იქ გააგრძელა სწავლა. ჰყავს ქართველი მეუღლე სოფო თევდორაშვილი, რომელიც (კერა მოითხოვს ალბათ) საკმაოდ ნიჭიერი და აქტიური გოგოა, რეზიდენტურის კურსს ბავშვთა ნევროლოგიის სპეციალობით გადის ოსნაბრიუკის კლინიკაში. ჰყავთ პატარა ლიზი და გიორგი.

თერთმეტი შვილიშვილიდან და 2 შვილთაშვილიდან 4 სტუდენტია. სამი კომაროველი, დანარჩენიც ბებოს გამხარებლები. სულ ცხრიანები და ათიანები აქვთ. ასე, ტრადიციულად აგრძელებენ ცხოვრებას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სწავლის პერიოდში ათეისტურად გვზრდიდნენ (და თურმე რამდენ ცოდვას სჩადიოდნენ) თამამად ვიტყვი, რომ ჩვენი ოჯახი წმინდა ქრისტიანული ოჯახია, რომელიც მყარად დგას და რომელსაც ვერავითარი ქარტეხილი ვერ დაანგრევს, უფლის სავანეა, უფლის ბაღია, რომლის თითოეულ წევრს ღვთის სადიდებლად გადაუწყვეტიათ არსებობა.

შევთხოვ უფალს თავისი კალთა გადმოაფაროს ჩვენს ოჯახს და ჩემს გვერდით იყოს ჭირში თუ ლხინში.

# დაწყებითი სამუსიკო განათლება, – ხელოვნება

# ტრადიციულად ანგარიშს აბარებენ




**მთელი** სასწავლო წლის განმავლობაში აქ სასწავლო პროცესს მთელი სერიოზულობით ეკიდებიან პედაგოგები, მოსწავლეები და ამ პროცესში სკოლის დირექციასთან ერთად აქტიურად ჩართული მოსწავლეთა მშობლები. დიახ, საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლაში მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები არ იშურებენ ენერგიას, თავს არ ზოგავენ მოსწავლეთა მუსიკალური განვითარებისათვის. და აი, სამუსიკო სკოლაშიც დამთავრდა სასწავლო წელი.

სასწავლო წლის დასასრულს სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები „ანგარიშს აბარებენ“ მშობლებს და სკოლის დირექციას გაწეული მუშაობის შესახებ. ბოლოს ტრადიციულად ჩატარდა საანგარიშო კონცერტი მოსწავლეების და მათი პედაგოგების მონაწილეობით. კონცერტს ესწრებოდნენ პედაგოგთა სრული შემადგენლობა, სკოლის მოსწავლეები, მათი მშობლები და კლასიკური მუსიკით დაინტერესებული პიროვნებები.

კონცერტის დაწყებამდე სკოლის დირექტორმა ქ-ნმა ლია ბურჯანაძემ მოკლე მიმოხილვა გააკეთა სკოლის მუშაობის შესახებ. კონცერტი კი წაიყვანა სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ თეა ხატიაშვილმა. კონცერტი გახსნა სკოლის მოსწავლეთა გუნდმა ორი სიმღერით: ვ. აზარაშვილის „საქართველო“ და რ. ლაღიძის „ვალსი“ (პედ. ნელი გულიკაშვილი; კონცერტმეისტერი ლია ბურჯანაძე). სცენაზე პირველი ავიდა I კლასის მოსწავლე მაკა ზალიკანიანი (პედ. ნ. ყანჩაშვილი), შემდეგ კი რიგრიგობით ერთმანეთს ცვლიდნენ სხვადასხვა კლასის მოსწავლეები: ნია დიღმელაშვილი, ნატა ქაიხოსროშვილი, მარიამ ყანდინაშვილი, ანა კერატიშვილი (პედ. თ. ხატიაშვილი), ლიკა ბექიტაშვილი, ნინო ადუაშვილი, თამაზ გოდერძიშვილი, ანი ესაიაშვილი, მარიამ ესაიაშვილი (პედ. ნ. ყანჩაშვილი), მედეა სიფროშვილი, ფიქრია საგინაშვილი (პედ. ნ. ოსიყმიშვილი), ნიკოლოზ ნანუაშვილი, თინათინ დალბაშვილი, თათია გოდერძიშვილი (პედ. მ. ჯაფარიძე), დავით ბექაური, ნინო გოდერძიშვილი (პედ. ნ. ბურჯანაძე), თამარ ზირაქაშვილი (პედ. მ. მამუკაშვილი), მარიამ საგინაშვილი (პედ. მ. ურდულაშვილი), მარიამ გაგნიაშვილი (პედ. დ. ეგეტაშვილი), ნინო ქურხული (პედ. ე. გოგიშვილი), მარიამ ზუკაკიშვილი, ქეთი უნაფქოშვილი, ნინო მუჩიაური, გვანცა მუჩიაური, სალომე სიბოშვილი, ელენე გიუნაშვილი (პედ. ე. ხიპაშვილი).

ასევე მონაწილეობა მიიღეს სოლფეჯიოს კლასის მოსწავლეებმა (პედ. ი. ფირიაშვილი). კონცეტრის ბოლოს ქ-ნმა ლია ბურჯანაძემ გაწეული შრომისათვის მადლობა გადაუხადა პედაგოგებს, მშობლებს და დამსწრე საზოგადოებას სკოლის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, მოსწავლეებს კი გადაეცათ სიგელები წარჩინებული სწავლისათვის და გამოთქვა იმედი, რომ მომავალი სასწავლო წელი ისეთივე შემოქმედებითი და წარჩინებული იქნება, როგორიც 2013-2014 სასწავლო წელი იყო.

განვლილ სასწავლო პროცესზე გვესაუბრება *სკოლის დირექტორი* **ლია ბურჯანაძე**:

***– მოგეხსენებათ, ყველა ადამიანი ინდივიდუალურია ყველაფერში და მით უმეტეს მუსიკის შესწავლა-შემეცნებაში. აქედან გამომდინარე ჩვენი სკოლის ყველა მოსწავლე ერთ დონეზე მომზადებული ვერ იქნება, მაგრამ ჩვენი სკოლის თითოეული პედაგოგი ცდილობს მაქსიმალურად ამოწუროს მოსწავლეთა შესაძლებლობანი. კლასიკური მუსიკის შესწავლა, გაზრდა, მათი ჯერ კიდევ ბავშურ გონებამდე მიტანა ძალიან რთულია, თან აღსანიშნავია ისიც, რომ სპეციალობა ძალიან შრომატევადია, რადგან უდიდეს ნებისყოფასა და მონდომებას მოითხოვს. მიუხედავად რიგი სიძნელეებისა, მუსიკის შესწავლის მიმართ დიდი დაინტერესებაა ბავშვებშიც და მშობლებშიც. სკოლაში 225 მოსწავლეა და ყველას სურვილია ეს რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდოს, სკოლის დირექცია და მთელი პედაგოგიური კოლექტივი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ჩვენი რაიონის ბავშვებმა მიიღონ დაწყებითი სამუსიკო განათლება, გამოვლინდეს წარმატებული მოსწავლეები, ასევე, საშუალო დონის ბავშვები და თუნდაც მუსიკის კარგი მსმენელები. გასაგებია, რომ ბავშვები დასაწყისში ძნელად აღიქვამენ კლასიკური მუსიკის აზრს, მაგრამ მათ მეხსიერებაში ეს ყველაფერი ილექება და თანდათან, ფიზიკურ და გონებრივ ზრდასთან ერთად პედაგოგის დახმარებით ყველაფერი თავის „ადგილზე ლაგდება“.***

***ყოველ წელიწადს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა: ჩათვლები, გამოცდები, დახურული კონცერტები, ღია კონცერტები, შიდა კონკურსები – ეტიუდებში, პოლიფონიაში, პიესებში, სკოლის ყველა პედაგოგი იღებს მონაწილეობას თავის მოსწავლეებთან ერთად პირველი კლასიდან მეშვიდე კლასის ჩათვლით.***

***2013 წლის ბოლოს ჩატარდა საშობაო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა უმრავლესობამ. დირექციამ კონცერტში მონაწილე პედაგოგებს მადლობა გადაუხადა გაწეული მუშაობისთვის, მოსწავლეებს კი გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. ეს რა თქმა უნდა ერთგვარი წახალისების ფორმაა პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის.***




## სახელოვნებო სკოლა

# აქ ნიჭიერი ბავშვები მოდიან



**ზამთრის** ბოლო თვეს საგარეჯოს ცენტრში შემინული შენობის მეორე სართულზე ფუნქციონირება დაიწყო სახელოვნებო სკოლამ. სკოლის გახსნას რამდენიმე თაობა ელოდა, რადგან გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიხურა სამხატვრო სკოლა, რომელმაც თავისი არსებობის სულ რამდენიმე ათეულ წლებში უამრავი მოსწავლე მიიღო. ასწავლა, დააფრთიანა და მათგან უმრავლესობამ სკოლის დამთავრების შემდეგ თოიძის სახელობის სასწავლებელში განაგრძო სწავლა და პროფესიაც შესაბამისი მიიღო. და აი, ახლა აქ 80 მოსწავლეა სიაში, ფაქტობრივად კი უფრო მეტი აქტიურობით ჯერ-ჯერობით 40 მოსწავლე გამოირჩევა.

სკოლის მენეჯერია საგარეჯოელი **ალექსი ასლანიშვილი** რომელმაც 1980 წელს საგარეჯოს მეოთხე საშუალო სკოლა დაამთავრა. 1980-86 წლებში თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა. მას 7 პერსონალური გამოფენა აქვს გაკეთებული და ასევე, მონაწილეობდა უამრავ გამოფენაში.

***– წლების განმავლობაში გარკვეული გამოცდილება დამიგროვდა, რომ ჩემი მშობლიური საგარეჯოელი ბავშვებისათვის მიმართულება მიმეცა ხატვის შესასწავლად, – მეუბნება საუბარში ალექსი, – ოთხი წლის განმავლობაში მე საგარეჯოს სამხატვრო სკოლის დირექტორი ვიყავი 90-იან წლებში, მაგრამ შემდეგ ეს სკოლა დაიხურა. სულ რაღაც მაწუხებდა, თითქოს საგარეჯოსკენ მიწევდა აზრი – გამეგრძელებინა ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა. სახელოვნებო სკოლის გახსნამდე მე საგარეჯოს თითქმის ყველა სკოლა შემოვიარე და ვნახე, რომ სკოლებში არაპროფესიონალები ასწავლიან ხატვას, ხელოვნებას, გაუთვითცნობიერებლები არიან ხატვაში, მოსწავლეს სწორ მიმართულებას ვერ აძლევენ, არადა ძალიან ბევრი ბავშვია, რომელსაც სჭირდება პროფესიონალის რჩევები.***

***სახელოვნებო სკოლის გახსნაში დიდი წვლილი მიუძღვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ილია ჭიაურელს, გამგებელს გიორგი ლოლაძეს და პარლამენტის წევრს თინათინ ხიდაშელს. მათ ამ ჟესტით გზა უამრავ ნიჭიერ მოსწავლეს გაუხსნეს. აქ მოდიან საგარეჯოს ოთხივე, ნინოწმინდის, გიორგიწმინდის, პატარძეულის საჯარო სკოლების მოსწავლეები. ვფიქრობთ, სექტემბრიდან მათ სხვებიც შემოუერთდებიან. გასაოცარია წყაროსთავის საჯარო სკოლის მეცხრეკლასელის ელზა გველესიანის აქ შექმნილი ნახატები. მინდა გითხრათ, რომ თავისი ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით და ნახატებით ტოლს არ დაუდებს სამხატვრო აკადემიის პირველკურსელს.***

***ჩვენს სკოლაში სამომავლოდ ხელოვნების ისტორიის, ქანდაკების, ძერწვის, კომპიუტერული გრაფიკის შესწავლაც გვაქვს დაგეგმილი. ამჟამად მე და ჩემი შვილი – მარიამ ვასწავლით მხოლოდ ხატვას და კომპოზიციას. იმედი გვაქვს მომავალი ახალი სასწავლო წლიდან დაფინანსება გაიზრდება და ჩვენ სხვა პედაგოგებიც შემოგვემატებიან.***


ელზა გველესიანი საკუთარ ნახატებთან

## ქართული სიმღერა – გალობა

# ეროვნულობის გადასარჩენად

**სულ** ახლახანს საგარეჯოში კაკაბელი მომღერლის, ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლისა და ლოტბარის ვანო მჭედლიშვილის სახელობის „საგალობლო გალობის და ხალხური სიმღერის სახელოსნო“ შეიქმნა, რომლის ხელმძღვანელად ჩვენთვის და საგარეჯოელთათვის საყვარელი და კარგად ცნობილი მომღერალი **ბექა ღვინაშვილი** დაინიშნა. ამ დღეებში შევხვდით ბექას და რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

***– ბექა, სულით და გულით გილოცავთ ამ მამულიშვილური საქმის წამოწყებას და მადლით, ჩვენი გაზეთის მკითხველს ამ სახელოსნოს დაარსების მიზანი გავაცნოთ უპირველესად.***

– მოგეხსენებათ, ხალხური პოლიფონია, რომელიც დღეს გვაქვს, რაც შემოგვრჩა წინაპრებისგან, ის უნდა ისევ დავუბრუნოთ, ისევ შევახსენოთ იმ სოფელს, სადაც შეიქმნა, საიდანაც წამოვიდა და დღეს აკვირდება მხოლოდ.

***– რა გზას გაივლის ეს ყველაფერი?***

– ჩვენ უკვე გადავდგით პირველი ნაბიჯები. თებერვალში ჩატარდა საბავშვო ანსამბლისთვის მოსწავლეების შესარჩევი კონკურსი. მინდა გითხრათ, რომ ასეთი საბავშვო ანსამბლები დღეს უკვე ლანჩხუთის, ხოხატურის, თუხარგების, დედოფლისწყაროს, გურჯაანის, ლაგოდეხის და ხაშურის რაიონებშია შექმნილი და რამდენიმე ათეული ბავშვითაა დაკომპლექტებული. ეს არის ფოლკლორული გუნდი, რომელშიც ხალხურ სიმღერას შეისწავლიან და ასრულებენ. კონკურსიდან ჩვენ შევარჩიეთ მოსწავლეები. სასურველია, რომ ეს ბავშვები X-XI კლასელები იყვნენ, რადგან ანსამბლიდან, ფოლკლორული გუნდიდან შემდეგ შეირჩევა მუსიკალურად განვითარებული მოსწავლე ორწლიანი სკოლისათვის.

***– რას გულისხმობს ორწლიანი სკოლის პროგრამა?***

– სწავლა იქნება ადგილობრივად. მოსწავლეები შეისწავლიან ქართულ ხალხურ სიმღერას, გალობას, სალოტბარო ხელოვნებას, ქართულ-ხალხურ საკრავებს, სოლფეჯიოს, ხალხური მუსიკის ისტორიას და ქართულ ენას. სემესტრულად მათ ჩაუტარდებათ გამოცდები, ხოლო შედეგებს თბილისის წმინდა გიორგი მთაწმინდელის გალობა-სიმღერის უმაღლეს სასწავლებელს გადავცემთ.

ჩვენ თებერვლის კონკურსიდან ოთხი ბავშვი – გოგი ესაიაშვილი, გიორგი მათიაშვილი, ომარ მაისურაძე, ჯუმბერ ლოლაძე განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემების საფუძველზე ჩავრიცხეთ აღნიშნულ სკოლაში. დანარჩენი 12 მოსწავლე კი ჯერ-ჯერობით მოსამზადებელ ჯგუფში დარჩნენ. სექტემბრიდან ჩვენ კვლავ ჩავატარებთ საჯარო სკოლებში შესარჩევ კონკურსებს ჩვენი ანსამბლისათვის და სკოლისათვის.

***– თქვენ თბილისის წმ. გიორგი მთაწმინდელის გალობა-სიმღერის უმაღლესი სასწავლებელი ახსენეთ...***

– დიახ. ჩვენი სკოლის დამთავრების შემდეგ ბავშვები მიდიან ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად. ამ გამოცდაზე თუ ქართულს ყველაზე დაბალი პროცენტით გადალახავენ, უგამოცდოდ მოხვდებიან ზემოთხსენებულ უმაღლეს სასწავლებელში. როდესაც ვამბობთ – უგამოცდოდ, იგულისხმება, რომ ეს მოხდება ორწლიანი სასწავლებელში ჩაბარებული გამოცდების ხარჯზე. ე.ი. ჩვენს მოსწავლეებს თბილისის ამ სასწავლებლის ურთულესი გამოცდის ჩაბარება აღარ მოუწევთ.

***– რა იგულისხმება ურთულეს გამოცდაში?***

– ურთულესია იმდენად, რამდენადაც აბიტურიენტი თუ სათანადოდ კარგად მომზადებული არ იქნება, ალბათ შესაბამისად ვერ ჩააბარებს იქ მისაღებ გამოცდას, რომელსაც ესწრებიან ანზორ ერქომაიშვილი, რუსთავისა და მარნეულის ეპარქიის მიტროპოლიტი მეუფე იოანე (გამრეკელი), სასულიერო აკადემიის რექტორი გიორგი ზვიადაძე, ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა

დასასრული მე-8 გვერდზე

# „ჩემს საყვარელ გურჯისტანს გულში ვეამბორები“

## მოსწავლეთა კონფერენცია იორმუღანლოში

**იორმუღანლოს** ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ლამბალოს სასწავლო ცენტრმა აქაურ მოსწავლეებს კიდევ ერთი საინტერესო ღონისძიება შესთავაზა. ჩატარდა მოსწავლეთა „ლიტერატურულ-ეთნოგრაფიული კონფერენცია – 2014“, რომლის ორგანიზატორი და განმახორციელებელი გახლდათ „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ პროგრამის მონაწილე და დუზაგრამის საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი ლელა ჯინჭარაძე. კონფერენციის სლოგანი გახლდათ დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ს. რუსტამის სტრიქონები: „ჩემს საყვარელ გურჯისტანს გულში ვეამბორები“. კონფერენციაში მონაწილეობდნენ დუზაგრამის, ლამბალოსა და იორმუღანლოს საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომელთაც წარმოადგინეს პრეზენტაციები ქართულ-აზერბაიჯანული კულტურის, ლიტერატურულ-ეთნოგრაფიული ურთიერთობების შესახებ, როგორც წარსულში, ისე თანამედროვეობიდან.გარდა ადგილობრივი სკოლების მოსწავლეებისა, კონფერენციაში მონაწილეობდა ორი მოსწავლე მარნეულის სკოლიდან (ხელმძღვანელი ნანა არაბული).

ლამბალოში გამართულ კონფერენციას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან, „ქართული, როგორც მეორე ენა“ კოორდინატორი მაკო ჭილაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის მთავარი სპეციალისტი განათლების დარგში არჩილ ჯაბადარი, იორმუღანლოს, დუზაგრამისა და ლამბალოს საჯარო სკოლის დირექტორები.

კონფერენცია დასრულდა ცეკვა „ლაზურით“, რომელიც შეასრულეს დუზაგრამის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. აქვე კონფერენციის მონაწილეთ გადაეცათ ლამბალოს სასწავლო ცენტრის სიგელები.

კონფერენციის ბოლოს სიტყვით გამოვიდნენ „ქართული, როგორც მეორე ენა“ კოორდინატორი მაკო ჭილაშვილი, არჩილ ჯაბადარი, პროექტის ხელმძღვანელი ლელა ჯინჭარაძე.

*გ. დაბახიშვილი*

# გამოვიჩინოთ სიფრთხილე

## „პური ჩვენი არსობისა“

**პურის** უხვი მოსავლის მისაღებად სოფლის მეურნეობის მუშაკთა კოლოსალური შრომა იხარჯება და რაოდენ სამწუხაროა, უყურადღებობის და ხანძარსაწინააღმდეგო წესების უგულებელყოფის შედეგად, როცა რამდენიმე წუთში ცეცხლი ანადგურებს ასობით ჰექტარ პურის ყანას ჯერ კიდევ მოსავლის აღების დაწყებამდე. მასში მონაწილე ყველა პირმა უნდა გაიაროს ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი, ხოლო მოსავლის აღების აგრეგატები და ავტომობილები უნდა იყოს აღჭურვილი ხანძრის ქრობის პირველადი დახმარების საშუალებებით (ორი ხიშტ-ნიჩაბით, ცეცხლსაქრობით, ცოცხებით და წყლის მარაგით), მოწყობილი გამართული ნაპერწკალმქრობებით და უნდა იქონიონ დარეგულირებული კვების, ანთების და საზეთე სისტემები.

დამწიფებამდე პურის ყანები ტყის ზოლთან, საავტომობილო და სარკინიგზო გზებთან უნდა იყოს მოთიბული და მოხნული არა ნაკლებ 4 მეტრიანი ხნულით. მარცვლეულის აღება უნდა დაიწყოს პურის მასივების არა უმეტეს 50 ჰექტარი ფართობის ნაკვეთებად დანაწილებით. ნაკვეთებს შორის უნდა იყოს გაკეთებული ლესურები 8 მეტრი სიგანის და გაკეთდეს 4 მეტრი სიგანის ხნული, მოთიბული ხორბალი გატანილი უნდა იქნას ნაკვეთიდან. 25 ჰა-ზე მეტი ფართის ასაღებ პურის მასივთან უშუალო სიახლოვეს უნდა იდგეს ტრაქტორი გუთნით.

ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვაა საჭირო თივისა და ნამჯის ზვინების დადგმისას. ერთი ზვინის ძირის ფართი არ უნდა აღემატებოდეს 150მ$^2$-ს, ხოლო დაწნეხილი თივისა კი 500მ$^2$-ს. ზვინები უნდა განლაგდეს არა ნაკლები 15 მეტრ მანძილზე ელექტროგადამცემი ხაზიდან, 20 მეტრამდე გუბის და 50 მეტრზე შენობა-ნაგებობიდან. ზვინებს შორის მანძილი უნდა იყოს 5 მეტრი და გაკეთდეს ხნული.

**აკრძალულია**: მოსავლის ასაღები ტექნიკის, საწვავ-საპოხი მასალებით გამართვა ასაღებ ნაკვეთში, საშემდუღებლო სამუშაოების ჩატარება, ღამის საათებში ავტომანქანების გამართვა საველე პირობებში, ნაწვერალისა და ნარჩენების დაწვა მოსავლის აღების მთელ პერიოდში. ძრავის რადიატორებში მტვრის ამოსაწვავად სარჩელი ლამპის გამოყენება. – მოსავლის ამღები მანქანების ძრავების რადიატორები ბიტერები, ჩალის სატენები, ტრანსპორტიორების და ამკრეფის ლილვები, კონვეიერები და სხვა კვანძები დროულად გასუფთავდეს მტვრის, ჩალისა და მარცვლისაგან.

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, ვიყოთ ფხიზლად, დავიცავათ სახანძრო უსაფრთხოების წესები თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება-დაბინავებაში, რათა თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი ხანძარი, რასაც ხშირად მძიმე და გამოუსწორებელი შედეგი მოსდევს.***

***ხანძრის შემთხვევაში დარეკეთ ტ: 112; 599 85 11 15; 599 85 11 16;***

*ზაქარია ოტიაშვილი,*

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვის და სამაშველო სამსახურის უფროსი***

# მილოცვა



**დაბადებიდან** 75 წლის შესრულებას ვულოცავთ ქართული ჭიდაობის , სამბოს, თავისუფალი ჭიდაობის, ძიუდოს არაერთგზის წარმატებულ სპორტსმენს, მწვრთნელ-პედაგოგს, რაიონის სპორტული ცხოვრების კარგ ორგანიზატორსა და გულშემატკივარს **ბიჭიკო მარიდაშვილს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და კვლავაც აქტიურ სპორტულ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების თანამშრომლები*

# ქართული სიმღერა – გალობა

## ეროვნულობის გადასარჩენად

**დასასრული**



გუნდის ხელმძღვანელი, ეთნომუსიკოლოგი მალხაზ ერქვანიძე, თბილისის ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდის ხელმძღვანელი სვიმონ ჯანგულაშვილი და გიორგი დონაძე, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საეკლესიო მუსიკის მიმართულების წევრი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი მაგდა სუხიაშვილი, ეთნომუსიკოლოგები და ფოლკლორისტები თამაზ გაბისონია, ქეთევან მათიაშვილი, ლევან ვეშაპიძე და ზაზა წერეთელი, კონსერვატორიიდან მოწვეული მუსიკისმცოდნეები, ასევე, თეოლოგი მამა ბიძინა გუნია.

***– მართლაც საინტერესოა...***

– საინტერესოა ისიც, რომ ჩვენი სკოლიდან წარმოდგენილი მოსწავლეებისათვის თბილისში აღნიშნულ სასწავლებელში სწავლა უფასოა. წარჩინებული სტუდენტი დაკმაყოფილდება საცხოვრებელი ფართით და საკვებით. ამასთან, სტუდენტი თავისუფლდება სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან. ოთხი წლის შემდეგ კი ბაკალავრის დიპლომით პროფესიონალი რეგენტი დასაქმდება ადგილობრივ მუნიციპალიტეტსა და ეპარქიებში, თუმცა, უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება სამეცნიერო კუთხითაც იმავე, ან სხვა ნებისმიერ მუსიკალურ სასწავლებელში.

თუმცა, ჩვენ ამჯერად საბავშვო ანსამბლის შექმნა, მათთვის იმ დისციპლინების შესწავლა-დამუშავება გვაქვს მიზნად დასახული. ქართულ სიმღერებს პირადად მე ვასწავლი ბავშვებს.

***– ბექა, საინტერესო იქნება გვითხრათ თბილისის სასწავლებლის კურსდამთავრებულები რა სპეციალობებს დაეუფლებიან?***

– სპეციალობები საინტერესოა მართლაც – რეგენტი, ლოტბარ-რეგენტი, ლოტბარი, მგალობელი, მომღერალი, მგალობელ-მომღერალი. დამეთანხმებით, რომ ეს პროფესიები გამორჩეულია ჩვენი ეროვნულობის შესანარჩუნებლად და გადასარჩენად. ისინი ფოლკლორული ანსამბლისა და საკათედრო ტაძრების რეგენტ-ლოტბაროების იურიდიულ და კვალიფიციურ უფლებას მოიპოვებენ.

# მიწისძვრის სიმულაციური აქტივობა საგარეჯოში

**2013** წლის თებერვლიდან ავსტრიის და დანიის წითელი ჯვრის, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების კატასტროფების მართვის დეპარტამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით, საგარეჯოში ხორციელდება კატასტროფების რისკის შემცირების პროექტი, რომლის მიზანია მოსახლეობისათვის იმ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, თუ როგორ უნდა იმოქმედონ მსგავსი შემთხვევების დროს.

პროექტის ფარგლებში ქ. საგარეჯოში შეირჩა და ჩამოყალიბდა 20 კაციანი ჯგუფი, რომელთაც ჩაუტარდათ სტიქიური უბედურების დროს მოსახლეობისათვის პირველადი დახმარების, ფსიქოლოგიური, სახანძრო-სამაშველო საქმიანობის შესახებ ტრენინგები. დონორების მიერ ჯგუფისათვის შეძენილი იქნა სათანადო აღჭურვილობა, შედგენილი იქნა საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების გეგმა, ჯგუფი მომარაგდა საგანგებო სიტუაციების მართვის შესახებ შედგენილი დამხმარე ლიტერატურით. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შესაბამისად საქართველოს წითელი ჯვრის კატასტროფების დეპარტამენტის მიერ საგარეჯოში დაგეგმილ მიწისძვრის სიმულაციურ აქტივობაში იყვნენ ჩართული ადგილობრივი თვითმმართველობა, პოლიცია, სასწრაფო, სახანძრო-სამაშველო სამსახურები და საგარეჯოს წითელი ჯვრის ფილიალის კატასტროფებზე რეაგირების მოხალისეთა ოცკაციანი ჯგუფი. სათანადო გეგმის შესაბამისად შეიქმნა შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელი. შტაბის შემადგენლობაში შედიოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ბესო მარტიაშვილი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თეონა ტაველიშვილი, წითელი ჯვრის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე ანი ჯაბადარი და სხვები.

შტაბის ხელმძღვანელის ილია ჭიაურელის განკარგულებით „კატასტროფის“ ადგილზე (საგარეჯოს ყოფილი პოლიტექნიკური ტექნიკუმის შენობა) გამოძახებულ იქნენ საგარეჯოს პოლიციის, სახანძრო-სამაშველო, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურები, რომელთაც მიეცათ „მიწისძვრით“ დაზიანებული და „ხანძარმოდებული“ ოთხსართულიანი შენობიდან დაზარალებული მოსახლეობის გამოყვანის დავალება. აღნიშნულ სამაშველო სამუშაოებში აქტიურად ჩაერთო საგარეჯოს წითელი ჯვრის კატასტროფებზე რეაგირების ოცკაციანი სამაშველო ჯგუფი. გურჯაანის მუნიციპალიტეტიდან გამოძახებულ იქნენ სამაშველო სამსახურის მუშაკები.

შტაბის ხელმძღვანელთაგან აღნიშნულ „ფაქტზე“ გამოძახებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის ერთი სახანძრო ეკიპაჟი მონაწილეობდა, რომელშიც შედიოდნენ: ცვლის უფროსები იმედა ბაბაკიშვილი, აბო ილაური, მეხანძრეები: დათო სვიმონიშვილი, დავით რუსიშვილი, ხვიჩა გუგუტიშვილი, გაიოზ ბეციაშვილი, მძღოლი ივანე თამაზაშვილი.. მათთან ერთად იყო სამსახურის ხელმძღვანელიც. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სამსახური გასული იყო საკმაოდ მოძველებული ტექნიკით, მათ უმოკლეს ვადაში – 6 წუთში შეძლეს მიცემული დავალებისათვის თავის გართმევა – შენობის I სართულზე გაჩენილი „ხანძრის“ ჩაქრობა და იქიდან 2 „დაზარალებულის“ გამოყვანა. ამ „ოპერაციაში“ თავი გამოიჩინეს ხვიჩა გუგუტიშვილმა და დავით სვიმონიშვილმა. მათ საკუთარი მხრებით გამოიყვანეს „ალმოდებული შენობიდან“ „დაზარალებულები“ და ეზოში მოწყობილ პირველადი დახმარების კარვებში „მიიყვანეს“ სამედიცინო დახმარების გასაწევად. აღნიშნული სამსახურის მეხანძრეები უფრო მეტს გააკეთებდნენ და აღარ დასჭირდებოდათ გურჯაანიდან კარგად, თანამედროვე ტექნიკითა და მოწყობილობით აღჭურვილი სახანძრო-სამაშველო სამსახურის “გამოძახება“, გასული საუკუნის 70-იანი წლების აღჭურვილობა (მანქანა, კიბე და სხვა) რომ არ ჰქონოდათ და შენობის მეოთხე სართულიდანაც საგარეჯოელი მეხანძრეები გამოიყვანდნენ „დაშავებულებს“.

*გივი დაბახიშვილი*

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru